F75 N 842

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

[illegible]
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76 მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26, ტელეფონი 5—48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 4.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 218 კვირა, 23 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250.000 მან. № 218

დღიური

— ბულგარეთის აჯანყებულებმა ქალაქ რადომირთან დამარცხეს მთავრობის ჯარი და გამოაცხადეს დროებითი რევოლიუციონური მთავრობა.

— გერმანია სდგას კაპიტულიაციის წინ. ფრანგებმა გადაწყვიტეს გერმანიის განძეულობის გატანა საფრანგეთში.

— ესპანეთის დიქტატური ემზადება ახალი ექსპედიციისათვის მაროკოში.

— ფიუმეს კონფლიქტი „სავსებით ამოწურულად ითვლება.

საქ. კომ. პარტ. ქუთ. სამაზრო კომიტეტი
აცხადებს

ყველა ამხანაგების ცნობათ, რომ სამშაბათს, 18 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ქუთაისის ორგანიზაციის ძველი წევრი

ამხ. კოსტა კიკაბიძე.

დასაფლავება მოხდება ქ. ქუთაისში „ძმათა სასაფლაოზე" 23 სექტ.

ს. კ. პ. ქუთ. სამ. კომიტეტი.

ჩვენი წითელი არმიისათვის

ყველა ოლქკომებს და მაზკომებს

ძვ. ამხანაგებო! ყველამ კარგად იცით თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე გარდამავალ ხანაში რესპუბლიკის კავშირის დაცვისა და საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებისათვის წითელ არმიას. წითელი არმია მხოლოდ მაშინ იქნება უძლეველი, როდესაც მას წითელი სარდლები ეყოლება სათავეში. ჩვენს ნაციონალურ დივიზიაში—ქართულ, სომხურ და ადერბეიჯანისაში, არ არიან წითელი კომანდირები. წითელი ლაშქრის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ძველი სპეცებია.

კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას დღეს შეადგენს—წითელ კომანდირთა კადრის შექმნა, რათა ამით შეიქმნეს უძლეველი სახელოვანი წითელი ლაშქარი. ამ მიზნით ყველა პარტიულმა, ახალგ. კომკავშირის და უპარტიო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა კურსანტების მოკრეფა სამხედრო სასწავლებლებისათვის წარმატებით ჩატარდეს.

წინადადება გეძლევათ დაიწყოთ კამპანია. მოაწყვეთ მაზკომებთან მომკრეფი კომისიები შემდეგი შემადგენლობით; მაზკომის მდივანი ან სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილების გამგე (თავმჯდომარე) წარმომადგენლები: კომკავშირიდან, მაზრის პროფბიუროდან და მაზრის სამხედრო კომისარი (სადაც ასეთები არიან). დასვით საკითხი ერთიან პარტიულ დღეს უჯრედების სხდომებზე და აგრეთვე მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ფართოდ გააშუქეთ წითელი სარდლის მნიშვნელობა და აგრეთვე ის შეღავათები და მიღების პირობები, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებს სამხედრო სკოლათა კურსანტებს.

უმთავრესი ყურადღება მიაქციეთ კურსანტების მოკრეფას კომკავშირის მუშათა ფაკულტეტების მსმენელების, პატიოსან და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ უპარტიო მუშათა და გლეხთა წრეებიდან. ც. კ. დარწმუნებულია, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები კამპანიას წარმატებით ჩაატარებენ და მისცემენ სათანადო კურსანტებს ჩვენ წითელ ლაშქარს. საჭიროა გამოიგზავნოს კურსანტები წითელი კომანდირების ქართული სამხედრო სკოლისათვის (ტფილისი), სომხური სამხედრო სკოლისათვის (ერევანი) და რუსული სამხედრო სკოლისათვის. დანარჩენში მკაცრად დაიცავით თანდართული პირობები მიღებისა და ადგილების განაწილებისა.

ს. კ. პ. ცკის მდივანი **ქართველიშვილი.**
სააგიტპროპო განყოფილების გამგე **კვირიკაძე.**

ბულგარეთის ამბები

ბულგარეთში ამ ბოლო დღეებში დატრიალებული ამბები ღირსია განსაკუთრებული ყურადღების.

ჩვენ ვლაპარაკობთ არა იმ ურთიერთობის გართულებაზე, რომელსაც ადგილი აქვს ბულგარეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის და რომელიც იმუქრება მთელ ბალკანეთზე ომის კოცონის დანთებით, თუმცა ეს თავის თავად საგულისხმოა.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გაფთრებული კლასობრივი ბრძოლა, რომელიც გაჩაღებულია თვით ბულგარეთის შიგნით.

ბულგარეთის ფაშისტურმა მთავრობამ კომუნისტური პარტია გამოაცხადა კანონს გარეშე, 12 სექტემბერს შეიპყრო ათასამდე კომუნისტი, დახურა ჩვენი პარტიული პრესა, გაანადგურა პარტიული და პროფესიონალური დაწესებულებები. პარტიის დაპატიმრებული მეთაურები გამოცხადებული არიან მძევლებად და მათ დახვრეტით ემუქრებიან, თუ რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყება.

ასეთი რეპრესიების საბაბად ცანკოვის მთავრობა ასახელებს იმ გარემოებას, თითქო კომუნისტები სახელმწიფოებრივ გადატრიალებას ამზადებდენ.

ბულგარეთის მსხვილი ბურჟუაზიის და სამხედრო კასტის შაიკას, რომელიც თარეშობს დღეს იქ, ფეხიდან ნიადაგი აქვს გამოცლილი.

როგორც ვიცით, ამ შაიკამ ამ რამოდენიმე თვის წინედ შესძლო ძალა-უფლების ჩაგდება ხელში იმიტომ, რომ ერთი მხრივ სტამბულინსკის პოლიტიკით გულგაცრუებულმა გლეხობამ ვერ გაუწია წინააღმდეგობა ფაშისტურ გადატრიალებას, მეორე მხრივ ამ ბრძოლაში მსხვილსა და წვრილ ბურჟუაზიას შორის ადგილობრივმა კომუნისტურმა პარტიამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ის არ შეეცადა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება მის განკარგულებაში მყოფი საკმაოდ ძლიერი რიგები მუშათა კლასის, არც იმას შეეცადა, რომ ამ მიზნით მიემხრო და გამოეყენებია უკმაყოფილო გლეხობა.

მას ასეთი ბრძოლის დასაწყებად მცირედ მოეჩვენა თავისი ძალები და სათანადოდ მოუმზადებლად, ვერც გლეხობის როლი რევოლიუციაში შეაფასა სისწორით, ვერ დაინახა პროლეტარიატთან მისი შეკავშირების საჭიროება და დიდი მნიშვნელობა.

ყველა ამან გადასწყვიტა გადატრიალების ბედი და ძალა-უფლება ცანკოვის ხროვას არგუნა.

მაგრამ იმ თავითვე ცხადი იყო, რომ, თუ მშრომელი მასა უკმაყოფილო იყო წვრილ ბურჟუაზიის და კულაკების მეთაურის სტამბულინსკის პოლიტიკით, ის უფრო მეტად ამხედრდებოდა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. ცანკოვის მთავრობას მხოლოდ ხიშტის წვეტზე შეეძლო თავისი ბატონობის დამკვიდრება.

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ თეთრი ტერორი მძვინვარებს ბულგარეთში. ცანკოვის შაიკას გადაწყვეტილი აქვს მუსრი გაავლოს ჩვენს პარტიას და მუშათა კლასს, გატეხოს ის მანამდე, სანამ მას კიდევ ვერ მოუსწრია ფაშისტური გადატრიალების დროს მის რიგებში მომხდარ დეზორგანიზაციიდან თავის დაღწევა და ძალების დარაზმვა,—რათა ჩაუკლას მშრომელ მასას ხალისი და მოუსპოს საშუალება რევოლიუციონური ბრძოლისათვის.

ყველაფერი ეს მოსალოდნელი იყო. ბულგარეთის კომპარტიის ხელმძღვანელმა წრეებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ახირებული ნეიტრალიტეტის დაცვით შეინარჩუნებდნენ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ეს მათ მისცემდა საშუალებას მუშაობისათვის მასების დასარაზმავად.

ამის შედეგი ის არის, რომ დღეს ჩვენ ვდგევართ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომის" დაწყების ფაქტის წინაშე.

საგულისხმოა, რა გამოხმაურება გამოიწვიეს ასეთმა რეპრესიებმა მშრომელ მასებში? როგორც მიღებული ცნობები გვეუბნებიან, იქ გაჩაღებულია დიდი რევოლიუციონური მოძრაობა.

ხდება მუშების მრისხანე საპროტესტო დემონსტრაციები მთავრობის მიერ კომუნისტებზე ყაჩაღური თავდასხმის მოხდენის გამო. მთელ რიგ რაიონებში ფაშისტური დიქტატურით შევიწროებული მშრომელი გლეხობა ჩაბმულია უშუალო ბრძოლაში მთავრობის ჯარებთან. ზოგ რაიონში აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება. ქ. რადომირში შესდგა დროებითი რევოლიუციონური მთავრობა, რომლის შეიარაღებულმა რაზმებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები და სხ.

ბულგარეთის მთავრობის დღევანდელი ნაბიჯი პროვოკაციული ხასიათისა და ის მიზნად ისახავს ჩააბას ბრძოლაში და სისხლში ჩაახჩოს რევოლიუციონური მასები, სანამ ისინი მომზადებული არ არიან.

ბულგარეთის კომპარტიის ამოცანას შეადგენს ამ მოძრაობას მისცეს ორგანიზაციული ხასიათი. მან უნდა დარაზმოს მუშათა კლასი, დაამყაროს მჭიდრო კავშირი პროლეტარიატსა და ღარიბ გლეხობას შორის, გასწიოს ფართე აგიტაცია მთელ მშრომელ მასაში.

და როცა ეს ამოცანა შესრულებული იქნება, როცა მუშათა კლასი და გლეხობა ერთიანი ფრონტით გამოვა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ, მაშინ ადვილად გადაწყდება ძალა-უფლების საკითხი ბულგარეთში. მაშინ ბულგარეთის მშრომელი მასა შესძლებს ფაშისტების დამხობას და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარებას.

ჩვენ ველით მათ

25 სექტემბრიდან საქართველოსა და მთელი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე დაიწყება მიღება კურსანტებისა ეგრედ წოდებულ წითელ კომანდირთა სკოლებში. საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წითელი კომანდირების მომზადებას ქართული ჯარის ნაწილებისთვის.

ყველამ უწყის, რომ ქართული ჯარის კომანდირთა შემადგენლობის დიდი უმრავლესობა გამოსული მეფისა და მენშევიკურ მთავრობის ჯარის ნაწილებიდან. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში აგერ ორ წელზე მეტია აწარმოებს ქართული ჯარის ნაწილების ორგანიზაციას, ამ სფეროში კიდევ ბევრი რამაა მაინც გასაკეთებელი. თუ ჩვენი წითელი არმიის მასსა შესდგება მხოლოდ და მხოლოდ მუშებისა და გლეხებისაგან, იგივე ვერ ითქმის უფროსთა შემადგენლობაზე. აქ ადგილი აქვს საკმაო რიცხვს ყოფილ გაბატონებულ კლასებიდან და, ცხა- [illegible] უნდა მოვკიდოთ ენერგიულათ ხელი. საბჭოთა ხელისუფლება არ იშურებს არავითარ საშუალებას. მან დაარსა სამხედრო სკოლა წითელ კომანდირთა მოსამზადებლათ. ამ მხრივ მეორე სიტყვა ეკუთვნის საქართველოს მშრომელ მასსებს, მუშებსა და გლეხებს. საუკეთესო ნაწილმა ჩვენი მშრომელი ხალხისა აი ამ სკოლას უნდა მიაშუროს, იქ აღიზარდოს, იქ შეისწავლოს სამხედრო ხელოვნება, რათა განამტკიცოს მშრომელთა ხელისუფლება.

ჩვენს სამხედრო სკოლებში, რასაკვირველია, ერთი ადგილიც არ ექნება დათმობილი არა მუშებიდან და გლეხებიდან გამოსულ პირებს.

მეფის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა ეგრედ წოდებულ ოფიცერთა და იუნკერთა სასწავლებლებში არ მოხვედროდა არც ერთი მუშა. და თუ აქა-იქ სასწავლებელში ღებულობდნენ ყოვლად უმნიშვნელო ნაწილს გლეხობისას, ეს იყო მხოლოდ გლეხ—კულაკების შვილები, ან ჯარის კაცობიდან გამხდარი ეგრედ წოდებული უმცროს კომანდირთა შემადგენლობიდან, რომელნიც სასტიკათ ექცეოდნენ ჯარისკაცებს და ამით ამტკიცებდენ თავიანთ ერთგულებას მეფის მთავრობისადმი.

აი, ასეთ პოლიტიკას ადგა მეფის მთავრობა ათეული და ასეული წლების განმავლობაში. ამ მხრივაც იყო საჭირო მთელი გადატრიალება მოგვეხდინა და ეს ჩაიდინა კიდევაც საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში.

ოქტომბრის რევოლიუციის, გადატრიალების შემდეგ რუსეთში წითელ კომანდირთა კურსებზე თუ სამხედრო სკოლებში არც ერთი ყოფილი აზნაური, თავადი და კაპიტალისტების შვილები არ ყოფილა მიღებული, რომელიც მტკიცდება შემდეგი ცნობიდან. კომანდირთა კურსებისა და სამხედრო სასწავლებლების შემადგენლობა ასეთი იყო:

1) 1918—1919 წლებში.		
ა) მუშები	37,7	პროც.
ბ) გლეხები	24,7	„
გ) დანარჩენი	37,6	„
2) 1919—1920 წლებში.		
ა) მუშები	45,5	პროც.
ბ) გლეხები	25,2	„
გ) დანარჩენები	29,3	„
3) 1920—1921 წლებში.		
ა) მუშები	34,9	პროც.
ბ) გლეხები	59,1	„
გ) დანარჩენები	6	„
4) 1921—1922 წლებში.		
ა) მუშები	28,2	პროც
ა) გლეხები	70,1	„
გ) დანარჩენები	1,7	„
5) 1923 წელი.		
ა) მუშები	37,5	პროც.
ბ) გლეხები	61	„
გ) დანარჩენები	1,5	„

ასე, ამ რიგად, ჩვენმა მოკავშირე რესპუბლიკამ — რუსეთმა მიაღწია ფრიად სერიოზულ მიზანს, მან შექმნა წითელი არმიის ხელმძღვანელნი მუშებისა და გლეხებიდან, ჩვენში კი ამ მხრივ ძალიან ცოტაა გაკეთებული. შარშან ჩვენ გვქონდა ეგრედ წოდებული შეერთებული სამხედრო სკოლა, რომლის შემადგენლობა არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ამიტომ წელს ჩვენი მოვალეობაა წარსული წლის ნაკლი თავიდან ავიცილოთ და სამხედრო სასწავლებელი მუშებითა და გლეხებით ავავსოთ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია იმ გარემოებას, რომ ჩვენი მუშებსა და ღარიბს გლეხ-კაცობას ძალიან ეძნელებათ სამხედრო სამსახურში შესვლა, ვინაიდან ეს აშორებს მათ ოჯახურ საქმეს, ამიტომ მთავრობამ იმ მუშებსა და გლეხების ოჯახებს, რომლებიც მოისურვებენ შესვლას სამხედრო სასწავლებლებში, ეძლევათ მთელი რიგი შეღავათისა. კურსანტის მშობლებს უწევენ ყოველგვარ დახმარებას როგორიც არის: ყანების მოხვნა, ნაყოფის შენახვა და სხვა. აგრეთვე კურსანტის შვილები და ოჯახის წევრები სწავლობენ ყველა ტიპის სასწავლებელში უფასოთ, თავისუფლდებიან ნაწილობრივ [illegible] თიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. აქ ყოვლად შეუძლებელია ჩამოთვლა ყველა იმ შეღავათისა და დახმარებისა, რომელსაც უწევს საბჭოთა ხელისუფლება კურსანტს, სამხედრო სასწავლებელში მოსწავლეს. გამოცემულია სხვადასხვა ბრძანებები, რომელნიც ყოველ კურსანტს შეუძლია მოითხოვოს ადგილობრივ აღმასკომებში და სამხედრო კომისარიატებში.

თუ წინეთ, მეფისა და მენშევიკების დროს, სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად საჭირო იყო გიმნაზიის კურსის დამთავრება და, რასაკვირველია, ეს ძალიან მცირე რიცხვს მუშებისას და გლეხობისას შეეძლო, მით უმეტეს, რომ მათ წინ ჩაკეტილი იყო სამხედრო სასწავლებლების კარები, საბჭოთა ხელისუფლება ყოველ მხრივ უადვილებს მსურველებს ამ სასწავლებელში შესვლას. სრულიად საკმარისია გარკვევით წერა და კითხვა ქართულ ენაზე და არითმეტიკაში 4 მოქმედების ცოდნა.

ყოველივე ამას თან ერთვის ისიც, რომ სამხედრო სასწავლებლებიდან განდევნილია ყოველგვარი ცუდი მოქცევა კურსანტებისადმი. აქ არის მხოლოდ და მხოლოდ გამეფებული ამხანაგური დისციპლინა, სიყვარული და თავაზიანობა როგორც მასწავლებლებსა, ისე კურსანტებს შორის.

კურსანტი სამხედრო სასწავლებელში სწავლობს არა მარტო სამხედრო ხელოვნებას და წესებს, როგორც ეს იყო მხოლოდ ძველად, არამედ ის ითვისებს და იძენს საერთო, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცოდნას და განვითარებას, რომლის საშუალებით ის ერკვევა თანამედროვე მომენტში და არჩევს ავს კარგისაგან, მოყვარეს მტრისაგან. ასე, ამ რიგად არის დაყენებული დღეს სამხედრო სასწავლებლები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი სიტყვა ზავი და განიარაღება იყო. მაგრამ თავით ფეხებამდე შეიარაღებულმა ბურჟუაზიამ მას ამის საშუალება არ მისცა. სანამ ჯერ კიდევ დედამიწის ზურგზე არსებობს თუ გინდ ერთი იმპერიალისტური სახელმწიფო, სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს არმია ბურჟუებისა და თავად-აზნაურებისაგან შემდგარი, — მანამდის საბჭოთა ხელისუფლება ხელს ვერ აიღებს შეიარაღებული ძალის შექნაზე, ის ყოველ ღონესა და საშუალებას იხმარს, რათა შეჰქმნას ძლიერი წითელი არმია გლეხებისა და მუშებისაგან, მათვე უნდა აავსონ ჩვენი სამხედრო სასწავლებლები თავიანთ საუკეთესო შვილებით და ერთი ათად გაუმაგრონ წელი მშრომელთა წესწყობილებას.

ჩვენ ველით სამხედრო სასწავლებლებში მშრომელთა საუკეთესო ნაწილს, განსაკუთრებით კი კომუნისტურ პარტიის, კომ-კავშირის და უპარტიო მუშებისა და გლეხების წრეებიდან გამოსულ ამხანაგებს.

ა. კვირიკაძე.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

ბულგარეთის მთავრობის ყაჩაღური თავდასხმა კომუნისტებზე

ბულგარეთის მთავრობა განაგრძობს კომუნისტების დევნას. ბულგარეთის მუშები და გლეხები შეებრძოლენ მთავრობის თავგასულობას. ქუჩებში გრძელდება ბრძოლა კომუნისტებსა და მთავრობის ჯართ შორის.

რადომირთან აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარი და გამოაცხადეს დროებითი რევოლიუციონური მთავრობა.

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოითხოვა მთავრობის შემადგენლობიდან ნაციონალ-ლიბერალების გასვლა.

კომინტერნმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიც აღნიშნავს ბულგარეთის მთავრობის უსაფუძვლო განცხადებას, თითქოს კომუნისტები ბულგარეთში ამზადებდენ აჯანყების მოწყობას. კომინტერნი მოუწოდებს ბულგარეთის მუშებს და გლეხებს შექმნან მუშათა და გლეხთა მთავრობა.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი 22 სექტემბერი. კომინტერნის აღმასკომმა გამოუშვა მოწოდება ბულგარეთის მთავრობის ყაჩაღურ თავდასხმის გამო კომუნისტებზე.

„12 სექტემბერს ცანკოვის ბანდამ, იმ მიზეზით, რომ თითქოს კომუნისტები ამზადებენ სახელმწიფოებრივ გადატრიალებას, დააპატიმრა 1000 კომუნისტი. მათ შორის თითქმის ყველა პასუხისმგებელი მუშაკები, დახურა პარტიული პრესა და დაარბია პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები. პარტიის დაპატიმრებულნი წინამძღოლები გამოცხადებული არიან მძევლებათ და იმყოფებიან დახვრეტის მუქარის ქვეშ, იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო.

ამბები კომუნისტების მიერ მოფიქრებულ გადატრიალების შესახებ უსაფუძვლოა. ცანკოვის მთავრობა, რომელსაც ნიადაგი ეცლება ფეხებიდან და სასიკვდილოთ არის გამზადილი, ეძებს საბაბს ანგარიშები გაუსწოროს ბულგარეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელებს. ცანკოვის შაიკის დღეები დათვლილია. ბულგარეთის მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი იქნება ყოვლის შემძლე, როდესაც მომხდარ ფაქტის წინაშე დადგება.

უგზავნის რა ძმურ სალამს ბულგარეთის მუშებს და გლეხებს კომინტერნი აცხადებს, რომ ცანკოვის პროვოკაციულ პოლიტიკაზე ბულგარეთის მშრომელებმა უნდა უპასუხონ რიგების შეკავშირებით, არალეგალურ ჯგუფების მოწყობით მთელ ქვეყანაში და მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენით.

თეთრ ჯალათების მთავრობისადმი სიძულვილის ტალღა სულ მაღლა და მაღლა აზვირთდება, სანამ ბულგარეთის მუშები და გლეხები სათანადო პასუხს არ გასცემენ მოძალადეებს".

ბულგარეთში ბრძოლა გრძელდება.

ვენა. 21 სექტემბერი. ბულგარეთიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სოფიაში სრული სიმშვიდეა. სამხრეთ-სლავიის პრესის ცნობით ბულგარეთის სხვადასხვა ქალაქებში გრძელდება აგრარიების და კომუნისტების ბრძოლა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. მეამბოხენი გამაგრდნენ სოფიას მახლობლად. პროვინციაში დაპატიმრებული კომუნისტები თავს იყრიან სოფიაში.

კომუნისტური შეთქმულება ბულგარეთში—მთავრობის მიერ შეთხზული ამბავია.

ვენა. 21 სექტემბერი. რუმინეთის ბურჟუაზიულ გაზეთის „ადევერულის" აზრით, ბულგარეთის მთავრობამ მოჰგონა კომუნისტების შეთქმულება კომპარტიის დევნის მიზნით.

სოციალ-დემოკრატები კოალიციიდან გამოსვლით იმუქრებიან.

ვენა. 21 სექტემბერი. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკამ მოითხოვა მთავრობის შემადგენლობიდან ნაციონალ-ლიბერალების გამოსვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში კოალიციიდან გამოსვლით იმუქრება.

დაპატიმრებულია 1.000 კომუნისტი.

ვენა. 21 სექტემბერი. ბულგარეთის პროლეტარიატის საპროტესტო მოძრაობა კომუნისტების დევნის წინააღმდეგ, თანდათან ფართოვდება მიუხედავათ ცანკოვის მთავრობის ტერორისა. კომუნისტებმა, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება სოფ. მაგრიბში და გოროდრინში ჯარებთან ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს ქალაქიდან, დობუკევოში მოკლულია 2 პოლიციელი, ბუშევოში-სოფლის მამასახლისი. შეტაკება სოფიაში, დაიწყო იმით, რომ ჯარებმა და პოლიციამ დაარბიეს მიტინგი პარლამენტის წინ. მანიფესტანტებს, რომელნიც გაემართენ ციხისაკენ დაპატიმრებულების განსათავისუფლებლად, აუტეხეს სროლა.

შინაგან საქმეთა მინისტრის რუსოვის განცხადებით დაპატიმრებულია 1000 კომუნისტი-ამასთანავე, თითქოს მთავრობამ განკარგულება მოახდინა ყველა დაპატიმრებულთა გარდა წინამძღოლთა განთავისუფლების შესახებ.

რადომირში შესდგა დროებითი მთავრობა.

ბერლინი. 22 სექტემბერი. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებანი. ჩრდილოეთ ბულგარეთის გლეხობის რევოლიუციონურმა მოძრაობამ მიიღო ფართო ხასიათი. რადომირთან, სოფიის მახლობლად, მეამბოხეებმა მოახერხეს მთავრობის ჯარების დამარცხება. რადომირში შესდგა დროებითი რევოლიუციონური მთავრობა.

გერმანია კაპიტულიაციის წინ

გერმანიის მთავრობა დაადგა კაპიტულიაციის გზას და რურში სავსებით სწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას.

ფრანგებს განზრახული აქვთ გერმანიის განძეულობა გაიტანონ საფრანგეთში.

გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ რომ პუანკარეს არავითარ შემთხვევაში არ სურს აზრი გამოიცვალოს რურის დაცლის [illegible]

საფრანგეთის პრესა პრემიერთა შეხვედრას სთვლის პუანკარეს უდიდეს გამარჯვებათ, თუმცა ბალდვინი მომხრე ყოფილა რურის დაცლის.

ზემო-ბადენის სამრეწველო რაიონში გაფიცვა გრძელდება. მოძრაობა თანდათან პოლიტიკურ ხასიათს იღებს.

გერმანიის მთავრობის კაპიტულიაცია.

ბერლინი. 21 სექტემბერი. არის ხმები, რომ მთავრობა ფაქტიურათ **დადგა კაპიტულიაციას და სწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას რურში.** გერმანიის მემარჯვენე პრესას მოყავს ცნობები, რომლებიც მოწმობენ საოკუპაციო ოლქების გერმანულ ადმინისტრაციის მისწრაფებას ფრანგებთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენისაკენ.

დროს უცდიან.

მანჰეიმი. 21 სექტემბერი. ფრანგებმა მანჰეიმის სახაზლე დაიკავეს. მანჰეიმში ფიქრობენ, რომ ფრანგებს **განზრახული აქვთ უკანასკნელ მომენტში დაეპატრონონ გერმანულ განძეულს და საფრანგეთში გაიტანონ.**

საფრანგეთი არ თანხმდება არავითარ დათმობაზე.

ბერლინი. 21 სექტემბერი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი" სწერს რომ გერმანიის მთავრობის ცდა, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთისაგან რურის საკითხში რაიმე დათმობის მიღებაზე, სავსებით დამარცხდა. **პუანკარე მტკიცე უარს აცხადებს რაიმე მოლაპარაკებაზე, ვიდრე პასიური წინააღმდეგობა ფაქტიურად შეწყდებოდეს.** „არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს პუანკარეს აძულოს დათმობისათვის. გერმანიის საარსებო ინტერესები კი მოლაპარაკების დაუყონებლივ დაწყებას მოითხოვენ".

გაზეთი გერმანიის ბურჟუაზიულ მოღვაწეთა უმრავლესობის სულიერ განწყობილებას გამოხატავს.

ინგლისის აზრი რურის ოკუპაციის შესახებ.

ლონდონი. 21 სექტემბერი. ლონდონის გაზეთები დიდის თავდაჭერით არჩევენ ოფიციალურ ცნობას ბალდვინისა და პუანკარეს პარიზში შეხვედრის შესახებ. „მანჩესტერ გარდიენ"-ის პარიზელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ინგლისი იძულებულია ანგარიში გაუწიოს რურში შექმნილ მდგომარეობას, როგორც შესრულებულ ფაქტს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ინგლისის თვალსაზრისი რურის ოკუპაციაზე პრინციპიალურად შეიცვალა. კორესპონდენტის აზრით, ინგლისი თანასწორუფლებიან მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთ-გერმანიის მომავალ მოლაპარაკებაში, თუმცა იგი თავს დაიჭერს ოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხების გარეშე.

ზოგიერთი ლიბერალური გაზეთები შიშობენ, რომ პარიზის თათბირის შედეგი ინგლისს პუანკარესათვის მხარის დაჭერა მოუხდება.

ლონდონის პრესა შეუძლებლათ სთვლის საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას ინგლისის მონაწილეობის გარეშე.

„პრემიერთა შეხვედრა—პუანკარეს პოლიტიკური გამარჯვებაა".

პარიზი. 21 სექტემბერი. საფრანგეთის ოფიციალური პრესა **პრემიერთა თათბირს პარიზში სთვლის პუანკარეს პოლიტიკურ გამარჯვებათ** და ინგლისის მიერ რურის ოკუპაციის ცნობის დასამტკიცებელ საბუთად. მეორე მხრივ კომპეტენტური ორგანო „პტი-პარიზენ"-ი (ბულვარიის გაზეთია, რომელსაც მთავრობა უწევს დახმარებას) ამტკიცებს, რომ პრემიერთა საუბარმა გამოააშკარავა მათი უთანხმოება სარეპარაციო საკითხში და რომ თითქოს ბალდვინს რურის ოკუპაციის სასწრაფო დასრულების სურვილი გამოეთქვას.

გერმანიის მთავრობა სწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას.

პარიზი. 21 სექტემბერი. ამბობენ, რომ შტრეზემანმა აცნობა ბელგიის მთავრობას, რომ გერმანიის მთავრობა სწყვეტს პასიურ წინააღმდეგობისათვის დახმარების გაცემას, თუმცა იგი არ იღებს თავზე პასუხისმგებლობას მოსახლეობის განწყობილებისათვის.

რურის გამო დავა დასრულდა.

ლონდონი. 22 სექტემბერი. „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტი ადასტურებს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა მოლაპარაკებამ ანტანტა აღდგენამდე მიიყვანა და წინანდელი აზრთა სხვადასხვაობა დავიწყებას მიეცემა. ორივე მხარე გულმოდგინეთ შეეცდება ბოლო მოუღოს რურის ოკუპაციის გამო ატეხილ დავას. კონფლიქტი დასრულებულად ჩაითვლება. ადვილი შესაძლებელია, რომ საკონტრიბუციო კომისია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რურის საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

საფრანგეთი გერმანიის განადგურებას ცდილობს.

ბერლინი. 22 სექტემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მახაროკომ გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ საუბარის დროს განაცხადა:

„თუ საფრანგეთი უარჰყოფს შტრეზემანის მეცადინეობას მდგომარეობის გამოსაკეთებლად,—მაშინ ერთხელ კიდევ დამტკიცდება, რომ იგი მხოლოდ გერმანიის დაღუპვას ესწრაფვის".

რა ხდება გერმანიაში

გერმანიის მთავრობის დამოკიდებულება საბჭოთა ვალიუტასთან.

მოსკოვი. 22 სექტ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბარში ბერლინიდან ეხლახან ჩამოსულმა ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა საბჭოთა ვალიუტასთან გერმანიის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ სთქვა, რომ გერმანიაში მოქმედი კანონი საბჭოთა ნიშნების გერმანიაში შეტანის აკრძალვის შესახებ გამოცემული იყო 1919 წელს რევოლიუციონურ მღელვარების შიშით და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მიზნით. ეხლა კი ეს კანონი გასაუქმებელია, რადგან იგი ეწინააღმდეგება რუსეთ-გერმანიის რაპპალოს ხელშეკრულებას, რომლის ძალით გერმანიამ სცნო საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა მანეთი გაცილებით უფრო მტკიცეა მარკაზე.

ძველი კანონის გაუქმება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს აგრეთვე იმიტომაც, რომ **საბჭოთა მანეთი ახჯერ უფრო მტკიცე გამოდგა მარკასთან შედარებით.** რომელიც 300—400 ჯერ დაეცა 6 კვირის განმავლობაში, მაშინ როდესაც საბჭოთა მანეთის ღირებულება ამავე ვადაში 2 ნახ.-ჯერ შემცირდა.

იმ შემთხვევაში თუ გერმანია არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, ჩვენ უპასუხებთ ამაზე საბირჟო ხმარებიდან გერმანიის ვალიუტისა და ღირებულებების სრული განდევნით.

ამხ. სოკოლნიკოვის მოლაპარაკება გერმანიის გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებთან საფუძველს გვაძლევს იმედისათვის, რომ სავალიუტო კონფლიქტი და გერმანიის დრომოჭმულ კანონის გაუქმების საკითხი დადებითად გადაწყდება.

რეიხსტაგის სესიის მოწვევა.

ბერლინი. 20 სექტ. როგორც საპარლამენტო წრეებში ამბობენ, ახალი საფინანსო რეფორმები გატარებული იქნება კანონმდებლობის გზით, რის გამო მომავალ კვირაში მოწვეული იქნება რეიხსტაგის სესია.

რეიხსტაგის სესიის მოწვევის დრო.

ბერლინი. 20 სექტ. გერმანიის რეიხსტაგის სესიის გახსნა დანიშნულია 26 სექტემბრისათვის. პირველ რიგში ახალი საფინანსო რეფორმები გაირჩევა.

გაფიცვები ზემო ბადენში გრძელდება.

ბერლინი. 22 სექტ. ზემო ბადენის სამრეწველო რაიონებში საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. მოძრაობა თანდათან პოლიტიკურ ხასიათს იღებს.

ფიუმეს საკითხი

ფიუმეს მცხოვრებლები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ფიუმეს ანექსიას იტალიის მიერ და მოითხოვენ რაპპალოს ხელშეკრულების შესრულებას.

ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი აქვეყნებს ცნობას რურის, იტალია-საბერძნეთის და ფიუმეს კონფლიქტების შესახებ. ცნობაში კომისარიატი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ფედერაცია შეხვდება მშვიდობიანობის დაცვას და წვრილი ერების დახმარებას.

ფიუმეს მცხოვრებლები ენერგიულად ეწინააღმდეგებიან ანექსიას.

მოსკოვი. 21 სექტემბერი. ფიუმეს მთავრობის გენერალურმა მდივანმა ს. ს. რ. კ. მთავრობას გადასცა ეკზემპლიარი ფიუმეს მცხოვრებლების მიმართვისა პარლამენტისა და იტალიის სენატისადმი. მიმართვაში ფიუმეს მცხოვრებლები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ფიუმეს ანექსიას იტალიის მიერ და მოითხოვს რაპპალოს ხელშეკრულების სისწორით შესრულებას.

მუსოლინის უკანასკნელი ნოტა.

ვენა. 20 სექტ. ბელგრადის გაზეთის ცნობით, მუსოლინი უკანასკნელ ნოტაში მოითხოვს მიეცეს სამხრეთ-სლავიის ნავთსადგური ბაროში და დელტა. ფიუმეს დანარჩენი ნაწილი გადაეცემა იტალიას. სამხრეთ-სლავიას ეძლევა ფიუმეს ნავთსადგურით სარგებლობა 99 წლით. სამხრეთ-სლავია აძლევს იტალიას კორიდორს ფიუმესაკენ.

სამხრეთ-სლავიის ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებული ცნობით, ნოტების გაცვლა-გამოცვლა რომსა და ბელგრადს შორის გამოიწვევს ფიუმეს ოლქის ანექსიას იტალიის მიერ, ამავე დროს დაცული იქნება სამხრეთ-სლავიის სუვერენიტეტი ბაროშის ნავთსადგურზე და დელტაზე, რის ნაცვლადაც სამხრეთ-სლავია უნდა დათანხმდეს იტალიის მიერ ფიუმეს ანექსიაზე. ამასთან ერთად იტალია აღუთქვამს სამხრეთ-სლავიას მჭიდრო სამხედრო და ეკონომიურ კავშირს.

იტალიის წინადადება.

პარიზი. 22 სექტემბერი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, იტალიამ წინადადება მისცა სამხრეთ-სლავიას იცნოს უკანასკნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება
კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის ჯარებისადმი.

ქალ. ტფილისი. № 787. 1923 წელ. 18 სექტემბერი.

§ 1.

გაზეთ „ზაკავკაზსკი ჟელეზნოდოროჟნიკის“ (№ 219) ცნობით, ჯავშნიანი მატარებლის № 204 წითელარმიელი ამხ. გუსიევი შევიდა მთვრალი ბათომის რკინისგზელთა კლუბში, სადაც მან მოახდინა დებოში, რომლის დროსაც მიუტევებელი სახით შეურაცხყოფდა ქართულ ენას. იქნა რა სამჯერ გაგზავნილი ჯავშნიანი მატარებლის სამხედრო კომისართან, ის გამოურკვეველი მიზეზების გამო თავისუფლდებოდა სამხედრო კომისრის მიერ და კვლავ განაგრძობდა ხულიგნობას.

დიდი აღშფოთებით ვაღნიშნავთ რა ამ ფაქტს, რომელიც სახელს უტეხს კავკასიის წითელ დროშოვან არმიას, რომელიც თავისი სისხლით ეხმარებოდა ამიერ-კავკასიის წინათ ჩაგრულ ერებს ეროვნული თავისუფლების მოპოებაში, ვუბრძანებთ:

არმიის არტილერიის უფროსს და კომისარს დაუყოვნებლივ მოახდინონ გამოძიება და დამნაშავეები გადასცენ სასამართლოს.

§ 2.

ბრძანება წაკითხული იქნეს ყველა გუნდებში, ბატარეებში და კომანდებში და გამოცხადდეს გაზეთებში.

არმიის დროებითი სარდალი: კუზნეცოვი.

რევსამხედრო საბჭოს წევრი: ელიავა.

კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკური სამმართველოს დროებ. უფროსი: ვ. ხუტირინი.

შტაბის დრ. უფროსი: გედევანოვი.

სუვერენიტეტი ბაროშის ნავთსადგურსა და დელტაში, შეიცვლება სლავიანიის საზღვრები სამხრეთ-სლავიის სასარგებლოდ და უკანასკნელს მიეცემა თავისუფალი ზონა ფიუმეს ნავთსადგურში, დაუყოვნებლივ დაიდება სავაჭრო ხელშეკრულება, მოხდება პოლიტიკური და სამხედრო შეთანხმება სამხრეთ-სლავიასა და იტალიას შორის და აგრეთვე დაიდება საიდუმლო ხელშეკრულება, რომლითაც სამხრეთ-სლავიას ნება არ ექნება გაიჩეროს ადრიატიკის ზღვაში სამხედრო ფლოტი.

ცნობებს ფიუმეს მოლაპარაკების მშვიდობიანათ დამთავრების ნიშნების შესახებ ამოწმებენ ბელგრადიდან მიღებული ცნობები, რომლის მიხედვით მოსალოდნელია პაშიჩის და მუსოლინის შეხვედრა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება იცავს წვრილ ერებს

ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი რურის, იტალია-საბერძნეთის და ფიუმეს კონფლიქტების შესახებ.

მოსკოვი. 22 სექტემბერი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის ცნობაში იტალია-საბერძნეთის და ფიუმეს კონფლიქტების შესახებ ნათქვამია, რომ, რურის ოკუპაციასთან ერთად, კიდევ არ არის განვლილი იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი, რომელიც ქმნის ევროპის ომის გამოწვევის საფრთხეს და ჩნდება ომის საფრთხე, მშვიდობიანობის მდგომარეობის საკითხის გამწვავების გამო. ზემოთ დასახელებული კონფლიქტები განხილული უნდა იქნენ ყველა ერების მშვიდობიანობის, თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის უფლებების თვალსაზრისით. ს. ს. რ. კ. გამოდის რა საერთო პრინციპებიდან, რომელიც საფუძვლად უდევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, შეურყევლად ებრძვის საერთაშორისო ურთიერთობაში გაბატონებულ საშუალებას უხეში ძალის გამოყენებისას, როდესაც საერთაშორისო სამართალი ემსახურება სწორეთ ამ ძალადობას.

ცნობა ხაზს უსვამს, რომ თუმცაღა საბერძნეთის და სამხრეთ-სლავიის მთავრობები იტანჯებიან მათ მიმართ უძლიერესი სახელმწიფოების ძალების გამოყენების გამო, მაგრამ ისინიც, თავის მხრივ, სჩაგვრენ ეროვნულ უმცირესობებს, რომლებიც ცხოვრობენ მათ სახელმწიფოებში, და განსაკუთრებით საკუთარ მუშებს და გლეხებს. საბჭოთა მთავრობა კი ცდილობს დაიფაროს წვრილი ერები ძლიერების მხრივ დაჩაგვრისაგან და მისწრაფვის მშვიდობიანათ მოაგვაროს საერთაშორისო კონფლიქტები, მტკიცე ზავის შექმნის მიზნით.

სამხედრო გადატრიალება ესპანეთში

მეფის დეკრეტით მთელ ესპანეთში აკრძალულია ყოველგვარი სეპარატიული დემონსტრაციები. დაკეტილია სეპარატისტების ყველა კლუბები.

კონსერვატიულმა და ლიბერალურმა პარტიებმა გამოუშვეს პროკლამაცია, რომელშიაც გმობენ დიქტატორ დე-რივერას ავანტიურას.

დე-რივერამ განაცხადა, რომ ახლო მომავალში დაიწყება ესპანეთის გალაშქრება მაროკოზე.

სამოქალაქო გვარდია.

რომი. 20 სექტემბერი. მადრიდიდან იუწყებიან, რომ მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც შესდგება სამოქალაქო გვარდია პროვინციაში და აფრიკის ახალშენებში.

სეპარატისტების დევნა.

ლონდონი. 20 სექტემბერი. მეფის დეკრეტით აიკრძალა ყოველგვარი სეპარატისტული დემონსტრაციები. ბარსელონის გუბერნატორმა დაჰკეტა სეპარატისტების ყველა კლუბები და თანამდებობიდან გადააყენა მუნიციპალიტეტის ბევრი მოხელეები.

ძალადობა კონსტიტუციის წინააღმდეგ.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ესპანეთის კონსერვატიულმა და ლიბერალურმა პარტიებმა პროკლამაციები გამოსცეს, რომლებშიაც გმობენ დე-რივერას პოლიტიკას, რადგანაც მასში ჰხედავენ ძალადობას კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უმზადებს არმიის მთლიანობას.

მაროკოს ავანტიურა გაგრძელდება.

რომი. 20 სექტემბერი. დე-რივერამ განაცხადა, რომ ახლო მომავალში დაიწყება ესპანეთის გალაშქრება მაროკოზე.

შეტევა მაროკოზე.

ლონდონი. 20 სექტემბერი. ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, ესპანეთის გემები ყუმბარებს უშენენ ალგუსემისს და მაროკოს. მელილის ფრონტზე თავს იყრიან ესპანეთის ჯარები. ალგუსემასისაკენ გაგზავნა 6 კრეისერი და 12 გამანადგურებელი.

ამტკიცებენ, რომ დირექტორიას აუცილებლად მიაჩნია შეტევა მაროკოზე ტანჟერის საკითხის გამო მოლაპარაკების დაწყების მოლოდინში.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

ბოდიშის ცერემონიალი

რომი. 20 სექტემბერი. დღეს დილით, საბერძნეთის ხელისუფლებისა, საერთაშორისო გამომძიებელ კომისიისა, იტალიის კონსულისა და სხვათა თანდასწრებით, იანინში პანაშვიდი გადაუხადეს იტალიის დელეგაციის მოკლულ წევრებს, რის შემდეგაც მათი ცხედრები წაასვენეს პრევეზის ნავთსადგურში. **საბერძნეთის ხელისუფლებამ, პანაშვიდის შემდეგ, სამძიმარი განუცხადეს მოკავშირეთა ხელისუფლებას.**

რომი. 19 სექტემბერი. გუშინ იტალიის ესკადრა 3 ჯავშნოსანის 6 ნაღმოსნის შემადგენლობით, საფრანგეთისა და ინგლისის კრეისერების თანხლებით მივიდა ფალერონში, სადაც იდგა საბერძნეთის ესკადრა. საბერძნეთის ესკადრამ პატივის ცემის ნიშნად 21-ჯერ დასცალა ზარბაზნები. საბერძნეთის ესკადრის ანძებზე ჩამოშვებული იყო საბერძნეთის დროშები და უცხოეთის დროშები ფრიალებდა.

გამომძიებელი კომისია საქმეს შეუდგა.

რომი. 20 სექტემბერი. იანინში გამომძიებელი კომისია შეუდგა მოსახლეობის დაკითხვას.

ინციდენტი ამოწურულია.

რომი. 20 სექ. ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა იტალიის დელეგატ სალანდრას დაწვრილებითი მოხსენება და სრულიად ამოწურულად აღიარა იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

ერთა ლიგის გადაწყვეტილება.

ლონდონი. 22 სექ. ერთა ლიგის პლენუმმა ჟენევაში მოიწონა ერთა საბჭოს დადგენილება—გადაეცეს იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის გამო აღძრული საკითხი ლიგის კომპეტენტობის შესახებ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს ან სხვა რომელიმე იურიდიულ ორგანოს.

სხვადასხვა

აფრიკა

ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყება იტალიელ ოკუპანტების წინააღმდეგ.

ვენა. 20 სექტემბერი. ტრიპოლიტანიაში, ტარხუნის ახლო, მოხდა ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა და იტალიის ჯარის შორის, რომელიც 5 დღე გაგრძელდა. ადგილობრივი მცხოვრებნი დამარცხდენ. ბრძოლის ასპარეზზე მათ დასტოვეს 200 გვამი.

ამერიკა

ევროპის გასაჭირი შედეგია რუსეთის გარიყვისა.

ნიუ-იორკი. 22 სექტემბერი. პარიზიდან დაბრუნებულმა მეტოდისტთა ეპისკოპოსმა ბლეკმა განაცხადა, რომ ევროპის მძიმე მდგომარეობა გამოწვეულია რუსეთის გარიყვით. საბჭოთა რუსეთი ყოველს ღონისძიებას ხმარობს, რათა შეამსუბუქოს რუსეთის ხალხის მდგომარეობა და იქით მისწრაფვის, რომ საშუალება მისცეს მის თავისი ნაშრომის გამოყენებისა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

მრეწველობის აღორძინება.

ეკატერინბურგი. 20 სექტემბერი. ქიმიურ მრეწველობას აღორძინება ემჩნევა. მუშაობს ბერეზნიკოვისა და კოლევის ქიმიური ქარხნები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სათბობ და ნედლი მასალით. მათი ნაყოფიერება მშვიდობიანობის დროის ნორმის 90 პროც. უდრის. ნოემბრის შუა რიცხვებში მუშაობას დაიწყებენ პერმის და კიშტიმის ქარხნები, რომლებშიაც ამჟამად რემონტი სწარმოებს.

მიწის ძვრა პოლტორაცკში.

ტაშკენტი. 21 სექტემბერი. პოლტორაცკში მიწის ძვრა მოხდა, რომელიც 5 წამი გრძელდებოდა. ზოგიერთ სახლში გაბზარულია ჭერი.

პურის კამპანია.

ოდესა. 21 სექტემბერი. სექტემბრის პირველ ნახევრის განმავლობაში მიღებულია 200 ვაგონი საექსპორტო პური. ყოველ დღე იტვირთება 58 ვაგონი.

უცხოეთის მეზღვაურები რუსეთში რჩებიან.

არხანგელსკი. 22 სექტემბერი. გერმანიის გემ „იაკოვ შრეიდერ“-ის ორმა მეზღვაურმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან თავისი ნივთიერი მდგომარეობით, საბჭოთა კომიტეტს განუცხადეს, რომ თავს ანებებენ გემს და რუსეთში უნდათ დარჩენა. უცხოეთის მეზღვაურების ასეთი განცხადებანი გახშირდა.

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკურ გამოცდისაგან განთავისუფლებულ ამხანაგების სია

1) ჩოდრიშვილი მ., 2) ოკუაშვილი არ., 3) დუმბაძე ლ., 4) სტურუა ვანო., 5) ხუტულაშვილი დ., 6) საბაშვილი პ., 7) როველაძე გ., 8) თოდრია სილვა, 9) ჩოდრიშვილი ივანე, 10) ქორიძე სერგო, 11) ფირცხალავა ერმალოზ, 12) ფხაკაძე სისო, 13) ჩოდრიშვილი ალექსი, 14) მასხულია სევერიანე, 15) ბოლქვაძე ვანო, 16) ჯღამაძე რაჟდენ, 17) მაროტაძე ლეონ, 18) ჩოდრიშვილი გიორგი, 19) ფირცხალავა ანდრო, 20) ონანოვი ოლანეზი, 21) მეგრელიშვილი სერგო, 22) კვარაცხელია მოსე, 23) ჩიჩილაშვილი ა. 24) ხუტულაშვილი ვლად., 25) ჩხეიძე, გიორგი, 26) ძნელაძე ვარლამ, 27) ჯორბენაძე იასონ, 28) ვაშაკიძე ვალერიან, 29) ზაქრაძე სტეფანე, 30) ხუზულური დავ., 31) რუხაძე ვარლამ, 32) შორჩილაძე, 33) კახატკოვი, 24) ალიტაგი-ზადე.

საქართველოს კომპარტიის ც. კ-ის მდივანი **ქართველიშვილი.**

სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილების გამგე **კვირიკაძე.**

ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუჯრედში.

ამა წლის 14 სექტემბერს შესდგა აღნიშნულ კომისარიატების კომუჯრედის ღია სხდომა უპარტიო თანამშრომლების თანდასწრებით.

დღის წესრიგში იდგა: 1) ყოფილ მენშევიკების კონფერენციის შედეგები, 2) „ლიგა დრო“ და სხვა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ჯანსახკომის მოადგილემ ამხ. კიკალიშვილმა. გააკეთა რა მოკლე ისტორიული მიმოხილვა ბოლშევიზმ-მენშევიზმს შორის არსებულ დავისა მსოფლიო მასშტაბით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს დავა საბჭოთა კავშირში უკვე გადაჭრილია თვით ცხოვრებით ბოლშევიზმის სასარგებლოთ. ასეთივე მიმართულებით მიმდინარეობს ეს ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით. ამიერიდან საქართველოს დიდ რევოლიუციონურ ტრადიციების მქონე მუშათა კლასი სწყვეტს ყოველივე კავშირს მე-2 ინტერნაციონალთან და, დგება რა კომუნიზმის დროშის ქვეშ, ბრძოლას უცხადებს სოციალიზმის ყველა მტერს.

მიღებულ რეზოლიუციაში კომუჯრედი მიესალმება საერთაშორისო შემთანხმებელთა წინააღმდეგ რევოლიუციონურ ფრონტზე კომპარტიის ახალ გამარჯვებას, რაც გამოიხატა მენშევიკური პარტიის დაშლასა და მათ მიერ კომინტერნის ტაქტიკის სწორად ცნობაში. ამავე დროს კომუჯრედი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ასეთივე დაშლის პროცესს განიცდის ამჟამად მსოფლიო მენშევიზმი. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციის წინამძღოლებს, ამხ. ლენინს და ტროცკის!

„ლიგა დროს“ შესახებ მიღებულ განაჩენით კომუჯრედი ადგენს: დაარსებულ იქნას „ლიგა დრო“ უჯრედების სახით ყველა წარმოებებში. გაწეულ იქნეს მუშაობა თანამშრომლების თავისი ნებით ლიგაში დღეიდან ჩარიცხვის შესახებ. იმის შესასწავლად, თუ სად და როგორ იხარჯება ჩვენი დრო, შემოღებულ იქნას ყოველდღიური შრომის ფიქსაცია სათანადო ბარათების საშუალებით. არსებულ „ლიგა დროს“ ბიუროს ევალება დაუკავშირდეს თბილისის და ცენტრალურ „ლიგა დროს“ მოსკოვში.

ინფორმატორი.

გამოვიდა და იყიდება ყველა გაზეთის გამყიდველებთან ტფილისში და პროვინციაში
№ 9
ორკვირეული იუმორისტული ჟურნალი
„ნიანგი“.
2—1

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში

წევრათ ჩაწერა სწარმოებს ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპექტი № 22) 12-დან ნაშუადღევის სამ საათამდე.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ამხ. მარგანიძესთან. საწევრო გადასახადი—სამი ჩერვონეცის მანეთი. საწევრო გადასახადის შეტანა შეიძლება სამ ნაწილად. წითელ-არმიელები და მეთაურთა შემადგენლობა იხდის 9 კაპიკს (ჩერვონეცის ანგარიშით).

საორგანიზ. კომისიის თავმჯდომარე: მ. ესსენი.

საქონლის და საფონდო ბირჟების ამიერ-კავკასიის პირველი კონფერენცია

გაიხსნება ა. | წ. 25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის სატარიფო-საფონდო ბირჟის ბინაზე (სოლოლაკის ქუჩა № 7).

ვთხოვთ კონფერენციას დაესწრონ ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ—კოოპერატიულ ორგანიზაციების და აგრეთვე უცხოეთის სავაჭრო დაწესებულებათა და ფირმების წარმომადგენლები და ტფილისის საქონლისა და საფონდო ბირჟის წევრები.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომი. 628 2—1.

სრულიად საქ. სავეტერინარო ყრილობა

საქართველოს საექიმო-სასანიტარო დარგის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს, რომ **კვირას, ამა წლის 23 სექტემბერს,** დღის 12 საათზე პროფკავშირის მცირე დარბაზში (მუშათა სასახლე)

გაიხსნება

საქართ. სავეტერინარო დარგში მომუშავეთა ყრილობა.

პას. მგ. მდივანი გოგიბერიძე.

ვეტსექციის საორგ. ბიუროს მდივანი მახათაძე.

625 2—2

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(22 სექტემბერი).

ჩერვონცები — — 48,200
გირ. სტერლინგ. ეფექტ. 45,000
„ ჩეკები — 41,800
დოლარები ეფექტ. — 9,800
„ ჩეკები — 9,100
რიმ. ქალ. ლირა 6.250
იტალიური ლირა 310
ფრანგული ფრანკი 445
საბჭ. ფულის ნიშნები 16

მუშკოოპის ფასები.

(22 სექტემბერი).

პური 2 ხარ. გირ.—180.
ფხვნილი შაქარი—2060 ათ.
შაქარი — რაფ. — 2440
ძროხის ხორცი — 1000
ცხვრის ხორცი — 1400
ბრინჯი გირ. — 530
კარტოფილი — 125

ტფილისის ბაზრის ფასები.

(22 სექტემბერი.)

პური 1 ხარ. — 800-350 ათ.
პური 2 ხარ. — 200
ფხვნილი შაქარი—2200.
შაქარი რაფინადი—2,400-2600.
ძროხის ხორცი—1300 ათ.
ცხვრის ხორცი—1500 ათ.
ალდაშის ბრინჯი—600
კარტოფილი —150

ბირჟის მიწოდება.

(22 სექტემბერს).

კანაფი, თოკები, სკიპიდარი, ტომრები, ფხვნილი შაქარი რუსეთის, მაკარონი და ვერმიშელი, მტყლი, საღებავები, რკინეულობა, რუსეთის ქაღალდის ფართლეულობა, მზესუმზირას ზეთი, ფანჯრების მინები, ბოთლები, სოდა კაუსტიური, ასანთი რუსეთის, ცემენტი და ეტერნიტი, ქაღალდი და კარტონი, მარილი ნახიჩევანისა და ბახმუტის.

ბირჟის მოთხოვნილება.

(22 სექტემბერი.)

ელექტრონის ლამპიონები, შუშა, გოგირდი „ბუდა“, ასანთი, სამუშაო ფეხსაცმელი უმაღლეს ხარისხისა, რკინეულობა, რუსეთის ქაღალდის ფართლეულობა, საპონი „ბაბიტ“, ჩაი ფქვილი ყუბანის და ადგილობრივი, ცემენტი პორტლანდიის, ტომრები, ქერი, მზესუმზირას ზეთი.

ოფიციალური გარიგებანი

(22 სექტემბერი)

ასანთი რუსეთის 19 მან. ჩერვ. ყუთზე ფრანკო-გამყიდველის საწყობი; ფხვნილი შაქარი რუს. 16 მან. ჩერვ. ფუთზე, ბორჯომის კანიფოლი 8 მან. 50 კაპ. ფუთზე.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(22 სექტემბერი)

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 22 სექტემბერს უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(22 სექტემბერი).

როგორც უცხოეთის ვალიუტაზე, ისე ჩერვონცებზე მოთხოვნილება დიდია, მაგრამ მიწოდება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ეკონო ცხოვრება

პირდაპირი გადასახადების შემოსავალი საქართველოში

ა.—წ. აგვისტოს განმავლობაში პირდაპირი გადასახადის შემოსავალი გამოიხატა შემდეგ ციფრებში (ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით):

ძირითადი სარეწაო გადასახადი—6,634,548,000 მ., დამატებითი სარეწაო გადასახადი—224,248,994,000 მ. სამოქალაქო—8,337,381,000 მ., შემოსავლის კვალობით—381,619,000 მ., სალერბო—69,190,246,000 მ., ბაჟი უძრავ ქონებაზე—568,570,000 მ. გადასახადი ფულის კაპიტალზე—237,300 მ. სულ შემოვიდა—317,978,725,000 მ.

ბათომში შემოვიდა:

ძირითადი სარეწაო გადასახადი—3,825,265,000 მ. დამატებით სარეწაო გადასახადი—241,751,51,000 მ. სამოქალაქო—375,000 მ. შემოსავლის კვალობით—177,022,000 მ. სალერბო—142,398,95,000 მ.

ამ ჯამში არ არის შეტანილი შემოსავლი ხაზინებში: სოხუმის, ცაგერის, ცხინვალის და ოზურგეთის, საიდანაც ცნობები ჯერ არ არის მიღებული.

რესპუბლიკის საგანგებო საგადასახადო კომისიაში

დაკმაყოფილებულია დუშეთის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა, რათა დუშეთის მაზრისათვის გადასახადის განაკვეთი შემცირებული იქნეს 50 პროცენტით, რადგანაც იქ მოსავალი დაზარალდა სეტყვის, ძლიერი წვიმის და თოვლის გამო. სამაზრო საგადასახადო კომისიას ევალება მოსავლის დაზარალებასთან შეფარდებით თვითვე გამოარკვიოს გადასახადის შემცირების პროცენტი თვითეული სოფლისათვის.

სალაროების მოწყობა სასოფლო-გადასახადების მისაღებათ.

საგანგებო საგადასახადო კომისიამ დაადგინა მოაწყოს არსებულ ხაზინებს გარდა კიდევ 22 სალარო, რომლებშიაც უნდა ხდებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფულით მიღება აღმოსავლეთ-საქართველოში.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობა

(მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ).

ამ დღეებში დაიხურა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა 25-ე ყრილობა, რომლის დღის წესრიგში პირველ საკითხად დასმული იყო მოხსენება ყრილობის საბჭოს მოქმედების შესახებ. მოხსენების გამო წამოიჭრა საკითხები, რომელნიც ყრილობამ განიხილა. ასეთი საკითხი იყო, რომელსაც შეეხო მუშა-მომხსენებელი ამხ. ზაქრაძე, პროფესიონალურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულება და განაცხადა, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის შესახებ მრავალჯერ იყო დაწერილი გაზეთებში, ძალიან მძიმეა მრეწველობისათვის, რაც დამოკიდებულია უმთავრესად ზედდართულ ხარჯებით. შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენების საინფორმაციო ნაწილი იმ როლის შესახებ, რომელსაც მთავრობა ასრულებდა შავი ქვის მრეწველობისათვის ხელისშეწყობის საქმეში. მთავრობის წინაშე აღძრული იყო სულ 50 შუამდგომლობა, აქედან უმრავლესობა დაკმაყოფილებული იყო, რამაც ხელი შეუწყო მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, (როგორც მაგ. საცხოვრებელი ბინების აშენება,

მოგზაურობა შოვზე

შთაბეჭდილებები და დაკვირვებები

(რაჭის მაზრა)

1. გზა.

ბევრს ალბათ პირველათ ესმის სახელწოდება „შოვი“, თუმცა ამხანაგ შამშე ლეჟავას წყალობით ამ უკანასკნელ დროს ამაზე შედარებით ბევრს ლაპარაკობენ. შოვი ეწოდება რაჭის მაზრაში ერთ ადგილმდებარეობას, რომელიც მდებარეობს ამ მაზრის ბოლოზე მამისონის უღელტეხილიდან 18 ვერსის მანძილზე, სადაც განზრახულია მომავალი კურორტის გაშენება. 30 გასულ აგვისტოს ჩვენ გავემგზავრეთ სწორედ ამ ადგილის დასათვალიერებლათ. საღამოს 8 საათზე ამ მიზნით ტფილისის ვოკზალზე მოგროვდენ რკინისგზის უფროსი ამხ. პოზდეევი, ცეკას მდივანი ამხ. ქართველიშვილი, ამხ. ს. ჯუღელი, ა. მიქაძე, ს. თოდრია, ა. კაციტაძე, შამშე ლეჟავა და ამ სტრიქონების ავტორი. გარდა ამისა ჩვენთან ერთად შოვში მიემგზავრებოდა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიოდენ; ქიმიკოსი კუპცისი, ტოპოგრაფი ბენაშვილი, ერთი გეოლოგი, კინოს სურათების გადამღები, ფოტოგრაფი და სხვ. სულ დაახლოვებით 15 კაცამდე. შოვში და საერთოდ რაჭის მაზრაში ქ. ქუთაისიდან ორი გზით შეიძლება წასვლა. ერთი არის სამხედრო ოსეთის გზატკეცილი, რომელიც დღეს რაჭის მაზრაში ბევრ ადგილას იმ ზომამდე გაფუჭებული და დანგრეულია, რომ ურემონტოთ იქ მიმოსვლა მეტად სახიფათოა. მეორე გზა მიდის ტყიბულზე და აღის ნაქერალას ქედზე ნაქერალის წვერიდან იწყება რაჭის მაზრა აქედან გზა მიდის ხარისთვალაზე სადამდის ნაქერალას წვერიდან 4—5 ვერსია. ხარისთვალა ქვია მდინარეს, რომელიც იქვე გამოდის მთიდან და რამდენიმე ვერსის შემდეგ ისევ იმალება მიწაში, რომ რამდენიმე ვერსის შემდეგ ხელახლა გამოჩნდეს მეორე მთას გადაღმა. ხარისთვალიდან ეს გზა გაივლის სოფ. ნიკორწმინდაში (8 ვერ.) შემდეგ ხოტევში (5 ვერ.) და სოფ. ამბროლაურში (8 ვერ.) ხიდის კართან ის უერთდება სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილს. ტყიბულიდან ხიდისკარამდე იქნება დაახლოვებით 40 ვერსი.

ამ გზის მდგომარეობა მეტათ უნუგეშოა. მართალია იქ ურმებით დადიან, მაგრამ ვაი ამისთანა სიარულს. ხშირათ გლეხი აქ თავისი ურმით და ხარკამეჩით 1—1 ნახ. არშინ ლაფში ეფლება, და ისიც აღმართ-დაღმართზე, და მაშინ მათ ტანჯვას და წვალებას საზღვარი არ აქვს. ჩვენი მოგზაურობის დროს ჩვენ ხშირათ ვიყავით მაყურებელი ასეთი შემაწუხებელი სურათისა. საქმე იმაშია, რომ აქ დღეს დიდი მოძრაობაა, აქ სწარმოებს ხე-ტყის გადმოტანა რაჭის მაზრიდან რკინისგზის ტყიბულის შტოზე რკინისგზების საჭიროებისთვის, რასაც აწარმოებს აქ კარგთ.

„ცნობილი“ ივანოვი. ამ ვაჟბატონის „საგმირო“ საქმეებზე სხვა ადგილას ვიტყვი რამდენიმე სიტყვას. აქ შევნიშნავ მხოლოდ აი რას. დამნაშავენია ყველა ისინი, ვინც გლეხკაცობას აიძულებს ასეთი გზით ხე-ტყის გადაზიდვას. თუ რკინისგზას ან რომელიმე სხვა დაწესებულებას ესაჭიროებოდა რაჭის ხე-ტყე ისინი პირველყოვლისა ვალდებული იყვნენ შეექმნათ ისეთი პირობები მის გასატანათ, რომ გლეხკაცობისთვის და მუშა-საქონლისთვის ეს გატანა ჯოჯოხეთად არ გადაქცეულიყო; მაგრამ ამაზე არავის უფიქრია. როგორც ამბობს ანდაზა: სოფელი ნახეს უძაღლო და შიგ გაიარეს უჯოხოთ. დამშეულ და შიშველ-ტიტველ რაჭის გლეხობას შეუქმნეს თითქო რაღაცა ქირის ფიქცია. მას ანადგურებიებენ და აჩრევინებენ ტყეს და შემდეგ მასვე აიძულებენ გადაიტანონ ის ნაქერალას ქედზე პირდაპირ ჩალის ფასად. გლეხს აქ ატყუილებენ აშკარად, ამას იგი ხედავს, მაგრამ რას იზამს, როცა მეტი გასაქანი მას არ აქვს. განა რკინისგზას არ შეეძლო შეეკეთებია ეს გზა იმდენად, რომ ოდნავ მაინც გაეადვილებია გლეხისთვის შრომის პირობები. საბჭოთა ხელისუფლების დროს გლეხკაცობის ინტერესების ასე ფეხქვეშ გათელვა დაუშვებელია.

ამ ბოლო დროს ისევ რაჭის სამაზრო აღმასკომს თავს უდევია ამ გზის გაკეთება თვით გლეხკაცობის დახმარებით, და უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში მას დიდი შრომა გაუწევია. ჩვენ გზადაგზა ვათვალიერებდით ამ ახალ ნაკეთებ გზას, რომელსაც დამთავრებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ახალი გზის გაკეთების საქმეში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი რაჭის მაზრისათვის, მთავრობა უნდა დაეხმაროს მაზრის აღმასკომს, თორემ უკანასკნელი მის დროზე დასრულებას ვერ შესძლებს. როცა ეს გზა გაკეთდება ისე, რომ იქ შესაძლებელი იქნება ავტომობილით მიმოსვლა, მაშინ ამით შემოკლდება გზა ქუთაისიდან შოვამდე დაახლოვებით 40 45 ვერსით მაინც, და გარდა ამისა კიდევ 40 ვერსი რკინისგზით იქნება სავალი.

მეორე გზა შოვამდე, როგორც ზევით იყო ნათქვამი,—ეს ოსეთის სამხედრო გზა-ტკეცილია, რომელიც გამოცხადებულია სახელმწიფო მნიშვნელობის გზათ, ეს გზა გადადის ჩრდილოეთ-კავკასიაში და მიდის კავკავამდე. მთელ ამ გზაზე მიმოსვლა ფეხით, ცხენით და ურმით დღესაც სწარმოებს, მაგრამ დიდი გაჭირვებით და ვაივაგლახით, ომამდე და ომის დროსაც იქ თავისუფლად დადიოდენ არა თუ ფაიტონები, არამედ ავტომობილებიც კი. როგორც ზევითაც შევნიშნე, ამ გზაზე ნორმალური მიმოსვლის აღსადგენად საჭიროა დიდი კაპიტალური რემონტი, დიდი შეკეთება. ქუთაისიდან შოვამდე ოსეთის სამხედრო გზატკეცილით იქნება დაახლოვებით 140 ვერსი. ნაქერალას ქედზე გადასვლით ეს მანძილი, როგორც ზევით იყო ნათქვამი, შემოკლდება დაახლოებით 40—45 ვერსით.

თავისთავად იგულისხმება, თუ რისთვის შევჩერდი მე ასე დაწვრილებით შოვში მიმავალ გზებზე. განზრახულია შოვის კურორტად გადაქცევა. ამიტომ უპირველეს ყოვლისა მუშებისა და გლეხების ფართო მასებმა წინდაწინვე უნდა იცოდენ, თუ როგორ შეიძლება იქ მისვლა. აშკარაა, რომ ერთი მთავარი პირობათაგანი შოვზე კურორტის აგებისა არის გზის საკითხის გადაჭრა; უამისოთ კი, შოვის კურორტათ გადაქცევას არავითარი აზრი არ ექნება.

2. რაჭა და მისი ბუნება.

საქართველო თავის თავათ ძლიერ პატარა ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ამ პატარა ქვეყანაშიაც თითქმის თითოეულ ფეხის ნაბიჯზე ჩვენ გვხდება სხვადასხვა ბუნება, სხვადასხვა ჰავა, ადგილმდებარეობა, ნიადაგი, სიმდიდრე და სხვა და სხვ. თითქმის არ მოიპოვება ისეთი მაზრა, რომელიც თავისი ნიადაგით, მდებარეობით, ჰავით მეორეს ჰგავდეს.

რაჭაც, რა თქმა უნდა, აქ გამონაკლისს არ შეადგენს. პირიქით, ის ყველაზე უფრო განირჩევა ყველა ამ მხრით დანარჩენ მაზრებიდან.

მთელი რაჭის მაზრა მომწყვდეულია მდ. რიონის და მისი შტოების ვიწრო ხეობაში. თავისი გარეგანი სილამაზით რაჭა არ ჩამოუვარდება საქართველოს არც ერთ მაზრას, ალაგ-ალაგ კი ეს სილამაზე შეუდარებელი და თვალწარმტაცია,

დაბლობზე, მთელი მაზრის სიგრძეზე, მიიკლაკნება მდ. რიონი, ორივე მხრიდან გადმოიყურებიან მაღალი მთები, დაფარული სხვადასხვა მცენარეებით, და ალაგ ალაგ თოვლითაც. ამ მთა-გორაკების ფერდობებზე და ხშირათ იმათ წვეროებზედაც გაშენებულია სოფლები.

რიონის ხეობა, რამდენათაც ზევით მივიწევთ, თანდათან ვიწრო ხდება, მაშასადამე, სახნავ-სათესი და სავენახე ადგილები მცირდება და თან მათი მოსავლიანობაც ძალაზე კლებულობს. თუ საერთოდ ქვემო რაჭა (სოფ. ამბროლაურს ქვევით), სადაც შედარებით ზემო რაჭასთან უფრო მეტი სახნავ-სათესი ადგილებია, განიცდის დიდ მიწის სივიწროვეს, რაღა უნდა ითქვას ამ მხრით ზემო-რაჭაზე*). ცნობილია, რომ მთელ რაჭას საერთოდ და ზემო რაჭას განსაკუთრებით არასოდეს არ მოსდის სამყოფი წლიური მოსავალი და მოუსავლიან წელს ან სხვაგვარ სტიქიურ უბედურებათა დროს მთელი რაჭა საერთოდ დიდ გასაჭირში ვარდება, მით უფრო რომ ის საერთოდ დაშორებულია უფრო კარგ მოსავლიან მაზრებიდან და მასთან გზებიც ცუდია.

გარდა ხვნა-თესვისა და პირუტყვის გაშენებისა რაჭის გლეხკაცობას ცხოვრებისათვის სხვა წყარო არა არა აქვს. ეს ოთხი დარგი მეტათ ვიწრო ფარგლებშია მომწყვდეული. რაიმე ფაბრიკის ან ქარხნის მზგავსი რამ აქ არასოდეს არ ყოფილა, რომ ხალხს რაიმე წყარო გასჩენოდა საცხოვრებლათ. სხვა საკითხია: იყო თუ არა აქ ნიადაგი ფაბრიკა-ქარხნული წარმოებისათვის? ნუ თუ რაჭის ბუნება, რომელიც თავის სილამაზით ადამიანს ხიბლავს, გარეშე ამ სილამაზისა არაფერს შეიცავს, არაფერს იძლევა? ჩვენ არ ვიცით, თუ რა სიმდიდრე ან მადნეულობა მარხია რაჭის მაზრაში, ეს ჯერ გამოკვლეული არაა, მაგრამ ერთი რამ ყველასათვის თვალსაჩინოა; ეს ის, რომ მთელი რაჭა საერთოდ და განსაკუთრებით ზემო რაჭა, ქ. ონიდან დაწყებული, წარმოადგენს მინერალურ ანუ სამკურნალო წყლების რაიონს. აქ თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე თქვენ ხვდებით სააბანოე თუ სასმელ წყლებს, ხშირათ ასეთი წყლების მთელ ჯგუფს.

მაგრამ, სამწუხაროთ, დღემდის ამ წყლების გამოყენება, იმათი სარგებლობა როგორც ადგილობრივი მცხოვრებლების, ისე მოსული ხალხის მიერ სრულებით მოუწყობელია, და შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმე ჯერ სავსებით ხელუხლებელია. მაგალითისთვის მე დავასახელებ აქ უწერას და მის მჟავე წყლებს. ალბათ, ბევრს თუ არ უნახავს ის, გაეგონება მაინც მის შესახებ რაშე. მაგრამ შედარებით რაჭის სხვა წყლებთან უწერის წყლები მოსაგონიც არ არის. მაგრამ ამაზე შემდეგ, ახლა კი ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ან რა მდგომარეობაშია დღეს ეს კურორტი. სამწუხაროთ, მისი მდგომარეობა მეტათ უნუგეშოა. ასეთი უნუგეშო მდგომარეობა უმთავრესათ აიხსნება ალბათ იმით, რომ უწერის საბანოე და სასმელი წყლების დებეტი მეტათ უმნიშვნელოა, ასე, მაგ., საბანოე წყალი ყოფნის დღე და ღამეში რაღაც 25 ვანის გასაკეთებლათ; ამიტომ იქ საქმის დაყენება ფართო ხასიათს ვერ მიიღებდა. მაგრამ განა უწერას გარეშე არ შეიძლებოდა რაჭაში სამკურნალო წყლების ექსპლოატაციის გაფართოება და გაუმჯობესება? ოღონდაც რომ შეიძლებოდა, მაგრამ აქეთკენ არ ყოფილა მიქცეული ყურადღება.

შოვის წყლებს რომ თავი დავანებოთ, რომელიც მდებარეობს სოფლებიდან დაშორებით და სადაც მისვლა საძნელოა, თვით ქ. ონის მახლობლათაც მოიპოვება მრავალი სამკურნალო წყლები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაჭის ცენტრში, შუაგულ ადგილას, სოფ. ამბროლაურში, ხიდის კარის თავთან გოგირდის შესანიშნავი წყლებია დიდი დებედით. წინეთ აქ კიდევაც ყოფილა გაკეთებული რაღაცა შენობას მზგავსი, მაგრამ უკანასკნელ დროს ის აუღიათ. და ამოდენა სასარგებლო წყალი ქე იკარგება ყოვლად უსარგებლოთ, როცა მას შეეძლო ორგვარი სარგებლობის მოტანა მცხოვრებლებისთვის, როგორც ჯანმრთელობის, ისე ეკონომიური მხრითაც.

ჩვენ მოგზაურობას სხვათა შორის ერთი კეთილი შედეგი უკვე მოყვა,— ეს ის, რომ გოგირდის აბანოს მოსაწყობათ სოფ. ამბროლაურში შოვის მომავალი კურორტის წყაროდან გადაიდვა ჯერ-ჯერობით ორი მილიარდი მანეთი. ჩვენ დავვარწმუნეს, რომ ეს თანხა ეყოფა ამ აბანოს მოწყობას. თუ არ ეყოფა, შეიძლება კიდევ დამატებით მიემატოს. ასეთივე საბანოე წყალი ყოფილა ქვემო რაჭაში, სოფ. ბუგეულშიაც ისიც დახმარებას საჭიროებს.

საერთოდ ჩვენმა კომისიამ რაჭის სამაზრო კომიტეტის სხდომაზე მიიღო საერთო გადაწყვეტილება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სანამ შევუდგებოდეთ შოვში კურორტის მოწყობას, პირველ ყოვლისა რეალური დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ აბანოებს და სასმელ წყლების აღდგენას და გაუმჯობესების საქმეს, რაც დღეს სხვა და სხვა მიზეზების გამო ცუდ მდგომარეობაშია და რაც არც ადგილობრივ მცხოვრებლებს და ადგილობრივ ხელისუფლებას არ ძალუძს შესაფერ დონეზე დააყენოს. როგორც კომისიის, ისე პარტკომის აზრით ასეთი ზომები დიდათ შეუწყობენ ხელს თვით შოვის კურორტის დაჩქარებით აგებას.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ რაჭის მდიდარ მინერალურ წყლებს დიდი მომავალი აქვს. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ამ წყლების შესაფერათ მოწყობით და გამოყენებით რაჭის მაზრის ცხოვრებაში დაიწყება ახალი ხანა. რა თქმა უნდა, არაფერი გასაკვირალი არ არის იმაში, რომ დღეს ამ საქმეს კიდებს ხელს საბჭოთა ხელისუფლების სახალხო მთავრობა. არც ერთ სხვა მთავრობას ეს არ შეეძლო.

3. რაჭის ტყეები

მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ტყეები რაჭის დამამშვენებელი ფაქტორია. ისინი თავისთავათ წარმოადგენენ მის დაუფასებელ სიმდიდრეს, და იმავე დროს შეადგენენ საფუძველს სხვა სიმდიდრისაც, მაგ., მდინარეების, წყაროების და განსაკუთრებით მინერალ წყლების დაუშრეტელობისას. უტყეოთ რაჭის მაზრა არაფრათ არ ეღირებოდა, იქ ცხოვრება თითქმის შეუძლებელიც შეიქნებოდა. წყლები დაშრებოდენ, იმავე დროს ნიაღვრები წვიმების დროს იქაურობას გაათხრებდენ, როგორც მრავალ სხვა ადგილას. დაზიანდებოდენ, რა თქმა უნდა, სამკურნალო წყლებიც აქედან აშკარაა, თუ რაოდენი მზრუნველობა და რა დიდი სიფრთხილეა საჭირო ამ ტყეების შესანარჩუნებლათ და დასაცავათ.

სამწუხაროთ, როგორც ეს ყველამ კარგათ იცის, ტყის დაცვის და სარგებლობის საქმე ჩვენში არსად არა სდგას თავის სიმაღლეზე. ტყის მოვლა და გაშენება ჩვენში ჯერ კიდევ უცნობი ხილია. ჩვენ უფრო გვეხერხება ტყის გაჩეხა, ვინაიდან ეს უფრო ადვილია. მაგრამ არ ვითვალისწინებთ, თუ რა უბედურება მოსდევს ამას ხალხისთვის. ორგანოები, რომლებიც ამ საქმეს ყავთ მიჩენილი, მეტისმეტათ ფორმალურათ და ბიუროკრატიულათ იქცევიან; გლეხკაცობასა და ამ ორგანოებს შორის გათხრილია უფსკრული, მათ შორის პირდაპირი მტრობაა ჩამოგდებული იმის მაგიერ, რომ სრული თანხმობა და სოლიდარობა სუფევდეს ტყის მოვლა-პატრონობის და ექსპლოატაციის საქმეში. მაგრამ რაჭის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა კიდევ უფრო უნუგეშო სურათს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ტყიბულში ჩვენი ყურადღებამ მიიპყრო ხის მორების აურაცხელმა რაოდენობამ; ტყიბულიდან დაწყებული ნაქერალის წვერამდე აუარება ხის მორები გვხდებათ ყოველგან: ისინი ყრიან გზის ნაპირას, ან ამ ხეებით დატვირთული ურმები გვხდებათ წინ რაჭიდან მომავალი. საყურადღებოა ის, რომ თითქმის ყველა ეს მორები ახალგაზრდა ხეებიდანაა გამოჭრილი. ერთად ერთი მომქმედე პირათ ამ საქმეში ასახელებენ ივანოვს, რომელიც მე ზევით მოვიხსენიე. ივანოვი რკინისგზის რწმუნებულია, და ხეებსაც სწორედ იგი ამზადებს რკინისგზისთვის. მე პირადათ ამ ივანოვზე პირველათ გავიგე 1921 წელს, შემდეგ როგორღაც იგი გადამავიწყდა. ამ უკანასკნელ დროს ივანოვის სხვადასხვა ბოროტმოქმედებაზე, უმთავრესათ ტყის გაჩეხის საქმეში, ჩვენ პრესაშიაც აღიძრა საკითხი (გაზ. „კომუნისტში“).

---

1) თუ რა სივიწროვეს განიცდის რაჭის მაზრის გლეხკაცობა მიწის მხრით, ეს სჩანს სხვათა შორის შემდეგი ცნობებიდან. სასურსათო აღწერით რაჭაში ითვლება დაახლოვებით 11.000 კომლი, ამათში აქვთ: 13 პროცენტი ნახევარ დესეტინამდე და 33 პროც. ერთ დესეტინამდე მიწა. მაშასადამე, თითქმის 50 პროც. მოსახლეობისა გასათავისუფლებელია სას. სამ. გადასახადიდან. ასეთი მდგომარეობა არც ერთ მაზრაში არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანოების მოწყობა და სხვა) მომავლისათვის გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელთა განხორციელება ფრიად საჭიროა, როგორც მაგ. გზების საბოლოო აღდგენა, სატელეფონო ხაზების მოწყობა და სხვა.

ყველა ეს საკითხები (უფრო უკეთ მათი განხორციელება) მომხსენებლის აზრით დაკავშირებულია საფუთო გადასახადის ერთ კაპეიკამდე დაყვანასთან. თავის მოხსენების დასასრულში ამხ. ბაქრაძემ მოიყვანა ციფრები, რომელიც ახასიათებს შავი ქვის მრეწველობის მონაწილეობას ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. ყრილობის საბჭომ დახარჯა ომამდე 150.000 მან. ოქროთი, რაც დღეს შეუძლებელია. დახმარება გაეწია მუშათა კლუბს დაარსდა სტიპენდიები მუშებისათვის და სხვა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ხუნდაძე, რომელიც ინფორმაციას უკეთებს ყრილობას საბჭოს სამეურნეო მოღვაწეობის შესახებ.

სარევიზიო კომისიამ საბჭოს მოღვაწეობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

საბჭოს ფულის ანგარიში იძლევა შემდეგ სურათს.

ყრილობის საბჭოს სალაროში შემოვიდა საფუთო გადასახადი 1922 წ.—3, 644 გირვ. სტერლ. „ჩემოსაგან"—6.571 გირ. სულ 10.215 გირვ.

გასავალი გამოიხატა 10622 გირ. სტერლინგში.

1923 წ. 1 სექტემბრისათვის საფუთო გადასახადი შემოვიდა 16.000 გ. სტერლ. და ნაშთი ოქროს სესხისაგან—50,000 მან.

შემდეგ დღის წესრიგში დასმული და გადაჭრილი იქნენ ძირითადი საკითხები როგორც მაგალითად:

1. გამომტანი გზების შესახებ.
2. ურთიერთობა რკინის გზასთან.
3. რიონის კონცესიის შესახებ.

სულ გაიმართა 5 სხდომა, რომლის დაწვრილებით ანგარიშებს დავბეჭდავთ მახლობელ ნომრებში.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 22 სექტემბრისათვის.

ა | კ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 17 მაისის დადგენილება № 2-ის საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა | წ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 22 სექტემბრისათვის განისაზღვრა—94,396,000 მანეთით.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს—9.440.000 მანეთით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოად. ა. მიქაძე.

საერთო საორ. განყოფილებ. გამ. ა. თურქია.

პროფკავშირებში

კომუნალური მეურნეობის კავშირში.

რკინიგზის ბაქანის მოწყობა.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენ. გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს სახ. კომ. საბ. წინაშე, რათა ავჭალის წყალსადენის მუშებისათვის მატარებლის შესაჩერებლად მოეწყოს ბაქანი.

ფეიქართა კავშირში.

საქ. საფეიქრო მრეწველობის ტრესტის სახით გაერთიანება.

ფეიქართა კავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ინჟ. ჩომახიძემ გააკეთა მოხსენება, სადაც საჭიროთ აღიარა საქართველოს საფეიქრო წარმოებათა ტრესტის სახით გაართიანონ და დაყონ იგი საწარმოო თვისებების მიხედვით 3 დარგათ: ბამბეულობის, შალეულობისა და აბრეშუმეულობის დარგებათ. ინჟ. ჩომახიძის მოხსენების მიხედვით, ცენტრ. გამგეობამ საფეიქრო საწარმოთა გაერთიანება ჯერჯერობით უდროოთ აღიარა იმის გამო, რომ არ არსებობს საფეიქრო წარმოებათა დეტალური გამოკვლევა და დაადგინა, სთხოვოს ს. მ. უ. ს. ეკონომ.—განყოფილებას, რათა განყოფილებასთან დაარსებული [illegible] ორგანო, რომლის მიზანიც იქნება საქ. საფეიქრო მრეწველობის დღევანდელი ვითარების და მისი პერსპექტივების გამორკვევა. და მისი დარგების მოწესრიგებაში მონაწილეობის მიღება.

საფეიქრო ქარხნის გამართვა ქუთაისში.

იმავე სხდომაზე ამხ. დიდებულიძე იძლევა ცნობებს ქუთაისში საფეიქრო ქარხნის მოწყობის შესახებ. ქარხნის შენობა უკვე შეკეთებულია. მანქანების ასაწყობად შერჩეულია გამოცდილი მუშები და ამჟამად გრძელდება ქარხნის აწყობა. რაც შეეხება მანქანის დაკლებულ ნაწილებს, ისინი უკვე გამოწერილია მოსკოვიდან და მალე ჩამოტანილი იქნება.

ა. კ. რკინიგზელთა კავშირში.

კულტ-მუშაობა რკინიგზის მუშათა შორის.

რკინიგზის მუშ. პროფ-კავშირის ტფილისის რაიონის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქმნა რკინიგზის მუშათა შორის მოხსენება კულტ-მუშაობის შესახებ. წერაკითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია 90 პროც. უკვე შესრულებულია. დანარჩენს, 10 პროცენტს წარმოადგენენ გზისშემკეთებელი მუშები, რომელთა შორის წერაკითხვის გავრცელება მოუხერხებელი იყო მათი მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო. გახსნილი იყო 1 საფეხურის სკოლები. ივლისში გაცხოველდა საკლუბო მუშაობა: იმართებოდა წარმოდგენები, სეირნობა კონცერტები და სხვა. მოეწყო ექსკურსიები ჩაქვასა და ჭიათურაში დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკო კულტურას, რომელთაც ამჟამად მეცადინეობს 40 კაცი.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში

კომისარიატის საერთო სამმართველოდან შეღავათ-დახმარების განყოფილების გამოყოფა.

ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ა. | წ. 21 სექტემბრის თარიღით გაცემული ბრძანებით, კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოდან გამოიყო **შეღავათ-დახმარების განყოფილება**; სამმართველოს გამოყოფილ ნაწილს დაერქვა **ქალაქ ტფილისის და მისი მაზრის საპენსიო შეღავათების განყოფილება.** საპენსიო შეღავათების განყოფილების გამგეთ დაინიშნოს პუგინოვი.

საჭირო თანხის გადაგზავნა ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებით სამაზრო რწმუნებულებს მაზრებში საგლეხო კომიტეტების მოსაწყობათ კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოდან გაეგზავნა (4. 300.000.000 მ) ოთხი მილიარდ სამასი მილიონი მანეთი.

ინვალიდთა არტელები—ს. ს. ს. რ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინიციატივით ქალაქში მოეწყო ინვალიდთა ოცდაექვსი არტელი. კომისარიატს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული როგორც ქალაქში, აგრეთვე მაზრებში უმთავრესათ შექმნას და მოაწყოს ინვალიდთა საწარმოვო არტელები.

დახმარება ინვალიდებს—სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატიდან ფულით დახმარება მიეცა სექტემბერში როგორც უკიდურესათ გაჭირვებულთ 461 კაცს; ასეთივე დახმარება ამავე თვეში შემცირებული განაკვეთით კომისარიატმა აღმოუჩინა 52 კაცს, ფულითვე სექტემბერში დახმარება მიეცა წითელ არმიელების 113 ოჯახს, კომუნალური ხარჯების შეღავათით და უფასო საექიმო დახმარებით და წამლობით თვის მიმდინარეობაში ისარგებლა 1.760 ინვალიდმა.

რაოდენობა საინვალიდო სახლებში მოთავსებული პირების—სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ ტფილისში იმყოფება ოთხი საინვალიდო სახლი.

ამ ჟამად მოთავსებულია პირველ საინვალიდო სახლში 80 კაცი, მეორე სახლში 79 ქალი, მესამეში 45 კაცი და მეოთხეში 25 ოჯახი.—

ბ-ნ ი. ი. ივანოვის საქმე

სოფლის მუშების წარმომადგენლები რედაქციაში

18 სექტ. რედაქციაში შემოვიდნენ მოქ. ი. ივანოვის რამდენიმე ყოფილი მუშა-გლეხები. ჩვენს კითხვაზე, თუ რამ აიძულა ისინი ამდენი ხარჯი გაეღოთ და თავიანთი სოფლიდან ტფილისში ამოსულიყვნენ, მათ გვიპასუხეს სიტყვა-სიტყვით შემდეგი: „წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ ჩვენს ნაოფლარს დავეძებთ. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი გაჭირვება განვიცადეთ, ბევრი ლანძღვა-გინება და შიში მივიღეთ ივანოვისა და მისი აგენტებისაგან და ჩვენი ინტერესების დამცველი ვერავინ ვნახეთ. მხოლოთ „კომუნისტის გაზეთმა" ეიმაღლა ხმა ივანოვზე და ჩვენც წამევედით ჩვენ ჩვენი სოფლებიდან, რომ პირადათ გვენახა გაზეთის ხელმძღვანელები და გვეთხოვა დავეცავით ჩვენ. გთხოვთ მოგვისმინოთ, გეიგოთ ჩვენი გაჭირვება და თუ შეიძლება არ გაგვაჩეროთ აქ დიდხანს, რადგან აქეთ ჩამოსავალი ფული ძლივს ვიშოვნეთ, ღამის გასათევი არ გვაქვს და „გასტინცაში" ღამის გასათევ ფულს აბა ვინ მოგვცემსო".

ჩვენ, უცვლელათ, მათივე სიტყვებით ჩავიწერეთ ნაამბობი და ვაქვეყნებთ მას განსაკუთრებით იმ ორგანოების საყურადღებოთ, რომლებიც იძევენ ბ-ნ ივანოვის საქმეს. ჩამოსულები იმ დღესვე დაბრუნდნენ უკან.

რა გვიამბეს ჩამოსულებმა.

დავით ბიძინის ძე ვახტანგაძე

(ჭოგნარის თემი, ს. ჭოგნარი):

„1922 წლის გაზაფხულში მოვიდა ჩვენთან ივანოვი, მას ახლდენ ისევე ჩვენი სოფლის მცხოვრები ლადიკო ლანჩავა, რომელიც ივანოვთან აგენტათ დამდგარიყო და საქმის მწარმოებელი ლუკა ფორჩხიძე. დაგვიძახეს გლეხებს და გვითხრეს:

— როდინოულზე (ჭოგნარიდან ათ ვერსზეა) ტყის მასალა გვაქვს დამზადებული, გამოტანა უნდა. ვისაც სურს იმუშაოსო და ასეთი პირობები მოგვცა: თითო შპალზე—10.000 მანეთი, ტელეგრაფის სტოლბებზე ღერზე—30.000 თორმეტ არშინიანზე, 20.000,—9 არშინიანზე 6,—10 არშინიანზე. ამას გარდა იყო „ბრუსები"—მუხის და ძელქვის ხეები 12 ვერშოკიანი სისქის, 4-დან 7 არშინამდი სიგრძის. თითო ურემზე ასეთი „ბრუსი" პეტერე დაეტეოდა ორი, დიდი კი ერთი. დადებას 6—7 კაცი სჭიროდა. ამ ბრუსების გამოტანაში გვპირდებოდენ 16 გირვანქა სიმინდს ან 120.000 მანეთს ფულათ. იყო აგრეთვე იქ შეშა, საჟენის გამოტანაში დაგვპირდენ 200,000 მანეთი.

ამას გარდა სურსათი უნდა მიეცათ ჩვენთვის ფუთნახევარი სიმინდი, ნახევარი ფუთი ჩვენდა თითო კაცზე, 1 ფუთი კი ჩვენი ოჯახობისათვის, გვპირდებოდენ კიდევ ლობიოს, თევზს, საპონს, ნავთს, მარილს. რაც რომ გვერგებოდა ნაშრომი—ნახევარი უნდა მიეცენ ფულათ, ნახევარი კი საქონელი, ბაზრის ნახევარ ფასებში.

ღარიბი ხალხიზაა გადადებულიო, გვითხრეს.

ამას გარდა საქონელიზა უნდა მიეცათ თივა უფასოთ, რამდენიც საჭირო იქნებოდა.

მარტო ჩვენი სოფლიდან სამუშევრათ 60 კაცამდი წავყევით.

თუმცა ჩვენ არ აგვირჩევია მარა, ლანჩავამ არტელის უფროსი ვარო გააცხადა და ასრულებდა არტელის უფროსის მოვალეობას.

პირველი სამიკვირის განმავლობაში ივანოვი გვაძლევდა დაპირებულ სიმინდს. მეტი არაფერი არ მოგვცა. რომ გავიდა ერთი კვირე მივმართეთ.

„საქონელი გვიწყდება, თივა მოგვეცით-თქო".

გვითხრა:—ვაგონებშია ჩაჭვირთული და ჩქარა მოვაო.

მოვიცადეთ არ მოვიდა და ისევ მივაკითხეთ.

ბოლოს, გზაშიაო—გვითხრა. კიდევ მივაკითხეთ და მაშინ გაბრაზებულმა გვიყვირა:

„რა ამბავია, სული ამომართვით, მოვა და დაგირიგებთო.

დაგვპირებს კიდევ, მავალთ ეს მუშები. გვეტყვის: ხვალ მოდითო, მივალთ და კიდევ ხვალო და ასე გავიდა, რამდენიმე კვირა. არც ნავთი, არც მარილი, არც თევზი არ მოგვცა. საპონიც ვერ მივიღეთ და ურმებს საცოდავათ ვაჭრიალებდით.

როცა უკვე მუშაობა თავდებოდა ივანოვმა გვითხრა.

ახლა ვიანგარიშებთ ვის რა გერგებათო.

გავათავეთ მუშაობა, მივედით ივანოვთან. მოგვეცით ჩვენი, რაც გვერგება გაგვისწორდითქო.

— მოგცლიათ, თქვენ ჩვენი კი არა თქვენ გმართებს ჩვენიო.

ზოგ ჩვენგანს ორი უღელი ხარი ყავდა სამუშაოზე და 3—4 თვის ნამუშევარში მხოლოდ 7—8 ფუთი სიმინდი ჰქონდა მიღებული.

აქეთ ვეცით, იქით ვეცით, მარა უსწავლელმა ხალხმა ვერაფერი გავაწყვეთ.

მივედით ისევ ივანოვის კანტორაში ქუთაისში (8 ვერსზეა ჩვენი სოფლიდან). დაგვხვდენ იქ ლანჩავა და ფორჩხიძე.

შემოგვიყვირეს:

დაიკარგეთ თქვენ მამაძაღლებო, რის ფული, რა ფული, თქვენ გაქვთ ჩვენი ვალიო.

ამას შემდეგ მე და ჩემთან ერთად 5—6 კაცმა ქუთაისის ტრიბუნალს მივმართეთ ეს იყო ამ წლის მარტში. მაგრამ გზა არსად ვიცოდით, არ ვიცოდით ვისთვის მიგვემართა და ჩვენი ქაღალდი იდვა იქ, პასუხი არავის უკითხავს ივანოვიზა. მხოლოდ „კომუნისტის გაზეთში" რომ დეიწყეს წერა და მაღლი საქმე ადგა, დაგვიძახეს ამ სამი კვირის წინათ და დაგვიწყეს გამოკითხვა თუ როგორ იყო საქმეო.

იმის ფიქრში, რომ ვიყავით ვისთვის გვეთხოვა დახმარება, ერთ დღეს ვინცხამ ბაზარში „კომუნისტის გაზეთში" წაიკითხა ამხანაგი კოწია მიქაშავიძის წერილი, რომელიც რომ ყველაფერს აწერავდა რაც რომ ივანოვს სიცრუე და სიყალბე ჩაუდენია. ამის შემდეგ ჩვენ მივედით ამხ. კოწია მიქაშავიძესთან და გადავეცით ჩვენი წერილი „კომუნისტის გაზეთიზა" და შევეხვეწეთ გაგზავნე და დაგვიბეჭდე გაზეთის უფროსმა თქვა. წერილი მართლაც დაიბეჭდა. ამის მერე მევიდა კომისია და დაგვიძახა მუშებს.

კომისიამ გვკითხა:

ვინ გასწავლა თქვენ გზა, რომ ივანოვისა გიჩივლიათო.

ჩვენ უთხარით ქე რაღა მასწავლებელი გვინდოდა, როცა ჩვენი ნაოფლარის ძებნა და გაჭირვება ყველაზე კარგი მასწავლებელია თქვა. მარა როგორც ხედავთ კარგი გზა ჯერაც არ გვისწავლია, თვარა აბა აგი რა გამოძევაა რომ იმის მაგივრად თუ ვინ მოგატყუათ და როგორ მოგატყუათ, იმას გვეკითხები გზა ვინ გასწავლათო.

კომისიას ვაგონიც ახლდა, ფორჩხიძე და ლანჩავაც იქ იყო.

ივანოვმა დაიწყო ყვირილი:

„ვი დურაქი ნაპისალი ნა მენია იავამ პაკაჟუ".

როცა კომისიის წევრმა კომახიძემ დაკითხა დაგვიწყო, ლანჩავა და ფორჩხიძე გამევიდა გარეთ და აშინებდა მუშებს.

ახლა მიაწერეთ თქვენ დასაკლავ დანას, იცით თქვენ რა მოგელის? ყველას დაგიჭერავენ, დაგხვრეტავენო.

კომისიის წევრი ავალიანი და ერთი ახალგაზრდა, მისი გვარი არ ვიცი გვეუბნებოდა: ვინ გასწავლა თქვენ გაზეთში დაწერა, ვინ აგალელვა თქვენო.

ხალხი შეშინდა, ზოგი თავის სახლებში გეიპარა.

დანარჩენი აძიგძიგებული სიმართლეს ვერ ამბობდა. დანარჩენს აგერ არიან ამხანაგები და იტყვიან ყველაფერს როგორც იყო.

ერთი კიდევ დამავიწყდა. ჩვენი ნაშრომის ძებნაში, რომ ვიყავით ივანოვმა და მისმა აგენტებმა არ ვიცი რაფერ იანგარიშეს და თითეულ მომუშავეს აქეთ დაადვეს ვალი, ზოგს 1 მილიონი და ზოგსაც ხუთი. ამის მერე ივანოვმა ჩვენი სოფლის ადმინისტრაციის დახმარებით გაგვრეკა კვირკობისთვეში ფარნალის ტყეში და გვამუშავა ხარ-ურმით და იქ გვამუშავა ზოგი 2 დღე ზოგი ერთი კვირე. არც წინეთ არც ახლა ჩვენი ნამუშევარის კვიტანციებს არ გვაძლევდა".

ვარლამ ივანეს ძე ლანჩავა (ს. ჭოგნარიდან).

„როცა ივანოვმა მუშაობა დაგვაწყებია და არაფერი მოგვცა, გამაგზანეს მუშებმა ივანოვთან.

მივედი მასთან დაუდექი, სალამი მიეეცი და უთხარი მუშებმა რაც რომ დამაბარა, ვთხოვე აესრულებია, რაც რომ აღკვითქვა და დაგვპირდა. ველაპარაკებოდი ქართულათ, უნდა გადაეთარგმნა ფორჩხისეს. მარა იმან რაცხა ისე მწარე უთხრა, რომ ივანოვმა თან დედა შემაგინა და თან წამიჯიკავა. დავიხურე ქუდი და გამოვბრუნდი ხელცარიელი.

როცა ივანოვს კვირკობისთვეში მეორე წყება სამუშაო ქონდა „ჩვენ ვალებს გვასწორებიებდა" ლანჩავა ივანოვს პურ-ღვინით და გოჭებით ხვდებოდა. ჩვენ პირუტყვებსავით გვამუშავებდნენ, თვითონ კი ქეიფი-ქეიფზე ქონდათ გამართული.

ჩვენ ოთხი თვის მუშაობაში ვალები დაგვედვა, ლადიკო ლანჩავამ კი სახლები წამოიწყო, ერთი უკვე ააშენა, მეორეს მასალა კი დამზადებული აქვს.

მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, რაც დათიკო ვახტანგაძემ თქვა ყველაფერი სიმართლეა".

იპოლიტე ბიჭიას ძე გუცხრაძე (სოფ. წუხარელა, ჩხარის რაიონის, თერჯოლის თემის)

„1921 წელს მაისში, ივნისში და კვირკობისთვეში მე ვმუშაობდი ივანოვთან და გუგუნავასთან ტყიბულის რაიონში. სულ 100 კაცამდი ვიყავით. ჩვენი მუშაობის პირობა ასეთი იყო: გვათავისუფლებდენ სამხედრო სამსახურიდან, უნდა მოგვეჭრა ხეები და დაგვეხია შპალებათ, თითო შპალში გვპირდებოდენ 2000 მანეთს და სურსათს 3 გირვანქა სიმინდს და ნახ. გირვანქა სილოდკას დღეში. გუგუნავა სამუშაოზე არავის სწერავდა თუ დოქის ღვინოს ან სხვა ძღვენს არ მოუტანდა.

ვიმუშავეთ სამი თვე, როცა მუშაობა გავათავეთ მოვიდა ივანოვი და გუგუნავამ. მოგვთხოვა რაც ვიმუშავეთ. ჩვენ ანგარიში წარუდგინეთ.

გუგუნავამ გვითხრა, რომ ნამუშევარიდან სილოიდკის და სიმინდის ფული უნდა გამოგიქვითოთო.

ჩვენ უთხარით:—ეს ჩვენ დაგვპირდით და ფულის გადამხდელი არ ვართთქო.

მაშინ გუგუნავამ გვიყვირა—ხმა არ ამეიღოთ თვარა დოუძახებ მთავრობას და ვაგონით გაგზავნი სამხედრო სამსახურშიო.

ჩვენ შევშინდით და დავიმალეთ.

ამის შემდეგ მოვიდა გუგუნავა მოიტანა ფული დაგვიძახა ვაგონში, ერთი ქედრით ფული ედვა, ხელში რევოლვერი დაიკავა. დაიწყო ანგარიში და თან გვემუქრებოდ:

— ხმა არ ამოიღოთ, თქვენ რის ფული გერგებათ, სამხედრო სამსახურიდან გაგანთავისუფლეთ ვალი თვითონ თქვენ გედებათო. თუ ბევრს ილაპარაკებთ ყველას ჩეკაში გაგზავნითო.

დავბრუნდით ჩვენ ჩვენს სახლებში. ვისაც გვეხებოდა სალდათობა, წავედით სალდათათ. ახლა გავათავეთ და ისიც გავიგეთ, რომ „კომუნისტში" წერილი იყო ივანოვზე და დავიწყეთ ჩვენც ჩვენი ფულების ძებნა".

რას აკეთებს საქმის გამომძიებლი „კომისია".

მოქ. ივანოვთან მომუშავე ათისთავებმა ა. **მეგენეიშვილმა** და ვ. **ბარკალაიამ** ივანოვის საქმის გამოსაძიებლათ გაგზავნილ კომისიის შესახებ შემდეგი გვითხრეს:

„ახლანდელი კომისიის წევრი ანდრეევი ხშირათ მოდიოდა ხარისთვალზე (რაჭა) მის საპატივსაცემლათ ივანოვი მართავდა ქეიფს.

ანდრეევს ივანოვმა გამოატანა „ფუშკში"—ღვინო ტიკით და კალმახი.

ანდრეევი ახლა კომისიაშია და ქეიფი ახლაც ხშირად იმართება კომისიის ვაგონში ქუთაისში".

რას თხოულობენ მუშები.

თავისი ნაამბობი გლეხებმა ასეთი თხოვნით დაასრულეს:

„ჩვენი თხოვნაა, გამოირკვეს სიმართლე და მოგვეცეს ჩვენ ჩვენი ნაშრომი.

ამასთან მოვითხოვთ, რომ ის კომისია, რომელიც ახლა იყო გამოგზავნილი გადაყენებული იქნეს.

დაკავებული იქნეს ივანოვის აგენტები, რომლებიც აშინებენ ხალხს და გამოიგზავნოს ახალი კომისია და თუ მაშინ ვინმე სიტყვას იტყვის ივანოვის სასარგებლოდ და ჩვენი სიტყვები სიმართლე არ იქნება ჩვენ მზად ვართ, რაც ივანოვს სასჯელი ეკუთვნის ჩვენ მოგვისაჯონ, თვითეულ ჩვენი სიტყვის პასუხისმგებელი ვართ.

თუ ივანოვის აგენტები ვერ ითარეშებენ ჩვენს რაიონში და ვერ შეაშინებენ ხალხს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უფრო მეტი სისაძაგლე გამეირკვევა, თორემ ახლა ხალხი ფიქრობს, რომ ივანოვი დაუძლეველია და მას ვერავინ ვერაფერს ავნებსო.

ჩვენ უსწავლელი ხალხი ვართ. ერთი წელიწადი დაგვჭირდა, რომ აქ მოვსულიყავით, არავის დღემდი ჩვენდა არ უფიქრია და დარწმუნებული ვართ, რომ „კომუნისტის" რედაქცია ჩვენ ივანოვის და მისი აგენტების საჯაჯგნად არ დაგვტოვებს".

წითელ ჯარში

რევტრიბუნალში

24 სექტემბერს 1) 1-ლ ქართულ ლეგიონის წ. მოლაშქრის სიმო ბეჟუკაშვილი ბრალდების გამო დეზერტირობაში, რა ბრალდებაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 210 მ. 1 ნაწ. 2) მესანგრე ასეულის წ. არმიელის გაორგი ცხადაძეს და ვლადიმერ ჯავახიშვილის სამხედრო ნივთების ქურდობასა და საყარაულო წესის დარღვევაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 15 მ. 187 მ. 3. „ც" 214 მ. 3 ნაწ.

25 სექტემბერს 1) ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის კომენდანტის ვასილ ალექსანდრესძე კობახიძეს სახაზინო ნივთების მითვისება გაფლანგვაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 116 მ. 1 ნაწ.

26 სექტემბერი 1) მეორე ქართულ ლეგიონის წ. არმიელის გულოხა ხმელაშვილის ბრალდების შესახებ დეზერტირობაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია ს. ს. კ 211 მ. 1 ნაწ.

2. მე-2-ე ქართულ ლეგიონის წ. რმიელის ვარლამ კირთაძის ბრალდების შესახებ დეზერტირობაში და სახაზინო ქონების გაფლანგვაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 210 მ. 1 ნაწ. 213 მ. 1 ნაწ.

27 სექტემბერი.. 1) 1-ლ ქართულ ლეგიონის წ. არმიელის ნოე მანჯგალაძის ბრალდების შესახებ დეზერტირობაში და სახაზინო გატაცებაში. რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 210 მ. 1 ნაწ. 213 მ. 1 ნაწ.

2. მე-2-ე ქართულ ლეგიონის წ. არმიელის იოსებ ნიკოლოზის ძე კობულაშვილის დეზერტირობაში და სახაზინო ნივთების გაფლანგვაში, რა ბოროტმოქმედებაც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 210 მ. 1 ნაწ. 213 2 ნაწ.

28 სექტემბერი. 1, ძირითად სამოსწავლო ათასეულის კოოპერატივის გამგეობის წევრების მიხეილ შენგელიას და ლავრენტი ლოლუას ბრალდების შესახებ კოოპერატივის ფულის მითვისებაში და იმავე კოოპერატივის ქონების გაფლანგვაში რა ბოროტმოქმედებანიც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 116 მ. 2 ნაწ.

მაგრამ რათა რამდენიმეთ მაინც წარმოიდგინოთ ის, თუ სადამდის მიუღწევია მოქ. ივანოვის მოქმედებას ტყის განადგურების საქმეში, საჭიროა თვითონ იხილოთ ის სურათი, რომელიც თქვენ თვალწინ გადიშლება როცა ნაქერალას წვერს გასცილდებით და რაჭის მაზრაში ამოყოფთ თავს. აქ თქვენ ხედავთ, თუ როგორ გათხელებულა ტყე; იმავე დროს მოჭრილ ხეებს და ხის მორებს სათვალავი აღარ აქვს. ასე გაუნადგურებია ამ ვაჟბატონს რაჭის მაზრის ერთი საუკეთესო ტყის აგარაკი. ახლა იკითხავთ: თუ როგორც მიაღწია ივანოვმა ამ მიზანს? ტყეს ხომ თავისი გამგე და თავისი მომვლელი ყავსო, იტყვით თქვენ და მოქ. ივანოვი ხომ რკინისგზის რწმუნებულია, და მას არ შეეძლო სატყეო უწყების დაუკითხავათ ტყის გაჩეხვაო.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ივანოვი დიდი „საქმიანი" კაცია, მეტად გამოქნილი და გაქნილი და იმავე დროს რაჭაშიაც თითქმის შინაური. ჯერ კიდევ მეფობის დროს, ე. ი. 1917 წლის რევოლიუციამდე დაუწყია მას რაჭაში ტყის მტაცებლური გაჩეხვა. იგი განაგრძნობდა ამ საქმეს მენშევიკების დროსაც. თუმცა მას ბრალს სდებენ მრავალ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში, როგორც, ტყის განადგურების, ისე მუშებთან და გლეხებთან მეტათ უდიერი და დაუშვებელი მოპყრობისათვის, სამწუხაროთ, ივანოვი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ღებულობს იმავე დავალებას ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოდან და ამნაირათ დღემდის, მიუხედავათ მრავალ საჩივრებისა და პროტესტებისა როგორც რაჭის მაზრის ხელისუფლების, ისე ადგილობრივ გლეხების მხრით, სრულიად დაუსჯელათ და არხეინათ განაგრძნობს თავის დანაშაულურ მოღვაწეობას. მართალია, ამ უკანასკნელ დროს, როცა ივანოვის „საქმენი საგმირონი" პრესაში იქნენ გამომჟღავნებული, რკინის გზის სამმართველომ მიაქცია ყურადღება ივანოვის საქმეს და მეორე ორი კომისია გაგზავნა კიდევაც რაჭაში ამ საქმის გამოსაძიებლათ, ნამდვილათ კი ივანოვის გასამართლებლათ; მაგრამ ასეთი კომისიები საქმეს ვერ უშველიან. ამას მოუღებს ბოლოს საბჭოთა მართლმსაჯულება. მაგრამ როგორ მოხდა ის, რომ ტყის გაჩეხვა და განადგურება შესაძლებელი შეიქნა ისეთი კაცის მხრით, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა? სად იყვნენ ის ორგანოები, რომლებიც უშუალოთ უნდა იცავდნენ ტყეს განადგურებისა და გაჩეხვისაგან. უწინარეს ყოვლისა ეს ორგანოები ტყის გამგეების სახით თავის ადგილას იყვნენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იმათ ტყე ვერ იხსნეს განადგურებისაგან. ეს აიხსნება უწინარეს ყოვლისა ივანოვის მოხერხებით, გაქნილობით და თაღლითობით; შემდეგ თვით ტყის გამგეების სისუსტით და ზოგ შემთხვევაში პირდაპირი ღალატით. უნდა იცოდეთ, რომ ეს ვაჟბატონები ყველა გულუბრყვილო ადამიანს დაარწმუნებენ თავის დანაშაულის სრულ კანონიერებაში. საქმე იმაშია, რომ თანახმათ წმინდა მეცნიერულ დაკვირვებათა ყოველ წლივ ტყეში უნდა მოიჭრას ხეების განსაზღვრული რაოდენობა, მასთან უნდა იქნას მოჭრილი თითქმის განსაკუთრებით მოზრდილი ხეები. ამავე დროს მიღებულ უნდა იქნას პრაქტიკული ზომები, რათა სამაგიეროთ გაზრდილ იქნას ახალი ტყე. ამაში მდგომარეობს ტყის **რაციონალური მეურნეობა და მისი რაციონალური ექსპლოატაცია**, ე. ი. ის რაც ტყეს აკლდება, აუცილებლათ ანაზღაურებულ იქნას მატებით. მაგრამ ჩვენში ჯერჯერობით ვერ შეუთვისებიათ ტყის რაციონალური მეურნეობა. რაც შეეხება ტყის გაჩეხვას, ეს ყველას გაეგება, ყველას ესმის, ამას დიდი ანი და ბანი არ უნდა, მაგრამ რაც შეეხება დანაკლისის შევსებას, ტყის მოვლას, ამაზე თავს არავინ იტკივებს. ჩვენი ტყის გამგეები თქვენ მეცნიერულათ დაგისაბუთებენ ტყის გაჩეხვის მავნებლობას, მაგრამ როცა თქვენ შეეკითხებით, რას აკეთებენ ან რა ზომებს იღებენ ისინი ტყის დასაცავათ და გადასარჩენათ, ისინი იძულებული არიან გაგიცხადონ, რომ ისინი აქ უძლურნი არიან, რომ მათ ამისთვის არ აქვთ არავითარი საღსარი და შესაძლებლობა. კიდევ კარგი, თუ ისინი მეცნიერულ დაკვირვებათა თანახმათ ე. ი. მიღებული ნორმით აჭრევინებენ ტყეს. მაგრამ ეს ნორმა ირღვევა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. და ამ დარღვევას აქვს ან ყოველ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი რაჭაში: სჭრიდენ არა თუ ნორმაზე ზედმეტს, არამედ სჭრიდენ სულ ახალგაზდა ხეებს. გზები, გზების ნაპირა ადგილები და თვით ტყეების მიდამოები გავსებულია მოჭრილი ხეებით. ბევრი მოჭრილი ხე ფუჭდება და ლპება, და ეს აფუჭებს საღ ხეებსაც. ტყეში დიდძალი ხეებია ქარისგან ან ნიაღვრისაგან წაქცეული, ესენიც ლპება და ოხრდება უყურადღებობით. იმავე დროს გაჭირვებულ და ღარიბ გლეხკაცობას ნებას არ აძლევენ დამპალი ან დასალპობათ გამზადებული ხეები გაიტანონ ტყიდან უფასოთ, ან შეღავათიან ფასებში და მით იხსნან ტყე გაფუჭებისაგან. მართლდება ანდაზა; ავი ძაღლი არც თითონ ჭამს და არც სხვას აჭმევსო გლეხკაცობა დრტვინავს და ვერ გაუგია თუ რაშია აქ საქმე.

რა თქმა უნდა, ამ სისაძაგლეს უნდა მოეღოს ბოლო, გლეხობას უნდა გავაგებინოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია; რომ, მართალია, საბჭოთა ხელისუფლება სასტიკათ იცავს ტყეს განადგურებისაგან, მაგრამ ის იცავს იმავე დროს გლეხის ინტერესებსაც, რომ ის ანგარიშს უწევს გაჭირვებულ გლეხკაცობას და აძლევს მას ყოველგვარ შეღავათს ტყით სარგებლობის საქმეში. მაგრამ გლეხკაცობა თითონაა დაინტერესებული ტყის დაცვაში, ამიტომ მან თითონ უნდა მიიღოს ამ დაცვაში ახლო მონაწილეობა. ვიცით რა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს საზოგადოთ და განსაკუთრებით რაჭისთვის, ჩვენ ვამბობთ, რომ ტყის გაჩეხვის და განადგურების წინააღმდეგ დაუყონებლივ უნდა იქნას მიღებული შესაფერი ზომები და ისეთი ტყის გამგეები, როგორიც არის, მაგ., ბახტაძე, რომელსაც ივანოვისთვის ხელი შეუწყვია, სატყეო უწყებიდან დაუყონებლივ გაძევებულ უნდა იქნენ. ვიმეორებ, ყოველივე ამას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს. წინააღმდეგ შემთხვევაში რაჭა დაკარგავს ერთ უდიდეს წყაროს, რომელიც სიმდიდრის გარდა მას სილამაზითაც ამკობს და ქმნის ერთ-ერთ მომხიბლავ კუთხეთ. მერე გვიანღა იქნება თითებზე კბენა.

4. შოვი.

ჩვენ უკვე ვთქვით, დაახლოვებით სად მდებარეობს შოვი, სადაც განზრახულია კურორტის გაშენება. ჩვენ აგრეთვე მოკლეთ ავწერეთ იქ მიმავალი გზა, და მანძილის რაოდენობა ქუთაისიდან და ტყიბულიდან. ჩვენ ვთქვით, რომ შოვი მდებარეობს—**ოსეთის სამხედრო გზაზე**, რომელიც იწყება ქუთაისიდან და გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში **მამისონის უღელტეხილის** საშუალებით. ეს გზა იკეტებოდა წინეთ მხოლოდ ზამთრობით. დღეს კი, როგორც ნათქვამი იყო ზევით, ის მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

ნათქვამიდან სჩანს, რომ შოვი მდებარეობს მამისონის უღელტეხილის ახლოს, მაშასადამე, თითქმის შუა ადგილას ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერ-კავკასიას შორის. ამ მდებარეობის უმთავრესი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ შოვი დაშორებულია დასახლებულ ადგილებს. ერთადერთი სოფელი, რომელიც მის მახლობლათ მდებარეობს (4—5 ვერს.) არის სოფ. **გლოლა**, სადაც 200 კომლამდე ირიცხება. ესაა და ეს.

რას წარმოადგენს თვით შოვი: ის მდებარეობს ზღვის დონესთან შედარებით დაახლოვებით 5000 ფუტის (ანუ 714 საჟენის) სიმაღლეზე, **რიონის** მარცხენა შტოის—მდინარე **ჭანჭახის**—მარჯვენა ნაპირზე. ადგილი ეს ყოველი მხრიდან დაცულია მაღალი მთებით, რომელთაგან ზოგი შემოსილია ტყით, ზოგი კი დაფარულია თოვლით. ტყე უმეტეს ნაწილათ ფიჭვისაა. ადგილი ზედმიწევნით სამშვენიერია და ფართო გასაქანიც აქვს. ქარი მას ნაკლებათ უდგება, რადგანაც, როგორც ვთქვი, თითქმის ყოველი მხრით მას ახლავს საკმარისათ მაღალი მთები. ყველაფერი ეს ლაპარაკობს შოვის სასარგებლოთ, როგორც საკურორტო ადგილის, თუმც ჯერჯერობით არ მოიპოვება არავითარი მეტეოროლოგიური დაკვირვება მზიან და წვიმიან დღეების შესახებ იქ წლის განმავლობაში. განზრახულია ახლო მომავალში დადგმულ იქნას იქ მეტეოლოგიური სადგური დაკვირვებათათვის.

შოვის ღირსება გარდა ჯანმრთელი ჰავისა, მდგომარეობს მის მდიდარ **მინერალურ წყლებში.** სამწუხაროთ, ამ წყლების თვისება აქამდის გამოუკვლეველია. მე გადმომცეს, რომ შარშან ყოფილა შოვში პროფ. **მოხეშვილი** და რამდენიმე ნიმუში წაუღია. რა ღირსების აღმოჩნდენ ეს წყლები, დღემდის არავინ იცის. როგორც ზევით მქონდა მოხსენებული, ჩვენთან ერთად მოგზაურობის დროს ამ საქმის მცოდნე პირებიც იყვნენ, რომლებსაც განსაკუთრებით ამ წყლების გამოკვლევა და ანალიზის გაკეთება ჰქონდათ დავალებული. ჩემის აზრით იმათ სავსებით ვერ შეასრულეს ეს დავალება, რადგანაც იმათ ჩქარა მოუხდათ იქიდან ისევ უკან დაბრუნება. იმათ მოუსწრიათ მხოლოდ რამდენიმე წყაროს ზერელე გამოკვლევა და ანალიზისთვის რამდენიმე ნიმუშის წამოღება, ამ ანალიზის შედეგი გვეცოდინება მხოლოდ 1—1 ნახ. თვის შემდეგ.

ამნაირათ, ჩვენ აქ უნდა განვაცხადოთ: რა ღირსებისაა შოვის მინერალური წყლები ან რა-და-რა ავათმყოფობის განკურნება შეუძლია იმათ, სისწორით და დანამდვილებით ამის თქმა ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია. ჩვენ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ მხოლოდ ის, რომ შოვი მდიდარია **სხვა და სხვა მინერალური წყლებით.** მე თითონ შემიძლია დავასახელო აქ სამნაირი წყალი: **მჟავე (რკინის) სოდის და გოგირდის.** ასეთი წყლები იქ რამდენიმე ადგილას ამოდის მიწიდან და საკმარისათ დიდი წყაროებიცაა, ე. ი. დიდ დებეტს იძლევიან.

მაგრამ რამდენი გამოვგრჩა ჩვენ უნახავი, რადგანაც ჩვენ ვჩქარობდით და დაღლილებიც ვიყავით.

ჩვენ ვამბობდით, რომ რაჭა საზოგადოთ მდიდარია მინერალური წყლებით; მჟავე წყლები ბევრ ადგილას არის, გოგირდისაც, მაგრამ მხოლოდ შოვში ვხედავთ, რომ ერთ ადგილას თითქო განგებ მოუყრია თავი თითქმის ყოველგვარ მინერალურ წყალს აქაა სხვადასხვა **მინერალურ წყლების მთელი ჯგუფი.** სამწუხაროა, რომ ყველაფერი ეს დღემდის გამოუკვლეველი და უცნობია, მაგრამ რომ ეს წყლები მეტად ძვირფასი და სასარგებლოა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ერთი ათად ადიდებს შოვის მნიშვნელობას.

ამნაირათ შოვს აქვს ბევრი დადებითი მხარე იმისთვის, რომ იქ გაკეთდეს კურორტი. მაგრამ ეს მეტად რთული საკითხია, და მას დიდი მოფიქრება ესაჭიროება. საქმე იმაშია, რომ შოვს აქვს რამდენიმე უარყოფითი მხარეც. პირველად ის, რომ ის დაშორებულია საქართველოს ცენტრებიდან, და იმავე დროს გზებიც არ ვარგა. მეორე ის, რომ მის ახლომახლო არ მოიპოვება დასახლებული ადგილები, გარდა ერთი პატარა სოფლისა. მესამე ის, რომ ხალხი მას ჯერ სრულებით არ იცნობს, მაშინ როცა საქართველოში მრავალი კურორტი არსებობს, რომელიც თითონ ხალხს შეუქმნია და მიუხედავად ამისა დღემდის სრულიად გაუკეთებელი და მოუწყობელია. ამიტომ ვამბობ, რომ აქ აჩქარებით ამ საქმეს არ უნდა მოვკიდოთ ხელი. აქ ჩვენ უნდა შევქმნათ სრულიად ახალი კურორტი და უზრუნველვყოთ ის ყოველი მხრით. რა თქმა უნდა, შოვი უნდა გაკეთდეს, მაგრამ როდის და როგორ,—ეს საკითხი სავსებით უნდა იქნას გამორკვეული, სანამ შოვის კურორტის პრაქტიკულ განხორციელებას შევუდგებოდეთ. ამას მოუნდება მეტად დიდი თანხა, და ეს რაციონალურად უნდა იქნეს გაღებული. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ამ შემთხვევაშიაც გამოვდივართ მარტოდ და მარტოდ მუშების და გლეხების ინტერესებიდან. ერთი სიტყვით, შოვს დიდი მომავალი აქვს, მაგრამ აქ დიდი მოფიქრება და დიდი სიფრთხილეა საჭირო.

(დასასრული იქნება).

ფ. მახარაძე.

ქრონიკა

— **შეშა მბეჭდავთა კავშირის მუშებს.** პოლიგრაფიულმა განყოფილებამ მბეჭდავთა კავშირთან ერთად დაადგინა: თვითეულ ცოლშვილიან მუშას მეცეს 1 | 4 კვ. საჟ. შეშა, ხოლო უცოლშვილოს—1 | 8 კვ. საჟ. თუ შეშა არ დაურიგდათ, მუშებს ფულად მიეცემათ—ცოლშვილიანს—საქონლის 8 მან, უცოლშვილოს 4 მან. პირველმა უნდა გაისტუმროს აღნიშნული თანხა 4 თვის, ხოლო მეორემ 2 თვის განმავლობაში.

— **სესხის მიცემა არტელს.** შრ. სახ. კომისარიატის გადაწყვეტილებით ფეხსაცმელების მკერავ არტელს სესხის სახით მიეცა 100 ჩერვონეცი.

— **მეცადინეობის დაწყება სასწავლებლებში.** განათლების სახ. კომისარიატის განკარგულებით რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

— **ქიმიურ-ფარმაცევტიული განყოფილება.** მასწავლებლების ფაკულტეტთან არსებულ ქიმიურ-ფარმაცევტიულ განყოფილებაზე შესვლის მსურველთაგან თხოვნების მიღება გაგრძელებულია 25 სექტემბრამდე.

— **უცხოელ უმუშევართა შემოსვლის აკრძალვა.** შრომის ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობით მიმართა საქ. პროფკავშირთა საბჭოს, რათა გამოსცეს განკარგულება საქართველოში უცხოელ უმუშევართა შემოსვლის აკრძალვის შესახებ.

— **რკ. გზის ახალი პლატფორმა.** კომუნალურ მეურნეობის კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ა.—კ. კომისარიატის საბჭოს წინაშე, რათა ავჭალის წყალსადენის მუშებისათვის მოწყობილი იქნეს მატარებლის გასაჩერებელი პლატფორმა.

— **სახ. მომგებ ოქროს სესხი.** დამზღვევ კასის სამმართველოს მოსამსახურეებმა შეიძინეს სახ. მომგებიან ოქროს სესხის 24 ობლიგაცია.

— **საულუფო ფქვილის ფასი.** სასურსათო სახ. კომისარიატმა დაადგინა: სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთ საულუფო ფქვილის ფასი სექტემბერში განისაზღვროს შემდეგით: ყუბანის ფქვილი 1 ფ.—4,865,000 მ. ადგილობრივი ფქვილი ფუთი—4,200,000 მ. ყუბანის ხორბალი—ფუთი—4,460,000 მ. ადგილობრივი—4,115,000 მან.

— **ოზურგეთის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა.** ოზურგეთის მაზრის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მას ნება მიეცეს ადგილობრივ საჭიროებისათვის გამოიყენონ ჩამორთმეულ ეკლესიების ქონებანი.

— **ა.—კ. ფინსახკომის რწმუნებულის დანიშვნა.** ამხ. ერქომაიშვილი განთავისუფლებული იქნა ა.—კ. ფინსახკომის რწმუნებულის მოვალეობიდან. მის ადგილზე დაინიშნა ამხ. გ. ვაშაძე.

— **7 ნოემბრის დღესასწაული.** შვიდი ნოემბრის დღესასწაულის (ოქტომბრის რევოლიუციის) აღსანიშნავად სრ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომ. პრეზიდიუმი უკვე შეუდგა სათანადო სამზადისს.

— **საშეფო ლეგიონის დახმარების შესახებ.** სრ. საქ. ცენტრ აღმ. კომ. პრეზიდიუმმა დაადგინა: ერთდროული დახმარების სახით საშეფო ლეგიონებს ყოველთვიურად მიეცეს 150.000.000 მ. ჩერვ.

— **დასავლეთ საქართ. ოლქის სასამართლოს წევრი.** დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრად დაინიშნა ამხ. ყიფიანი.

შრომის ბირჟა. 21 სექტემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 651 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 117 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 66 უმუშევარი.

— **ნაძალადევის მუშათა უბნების მცხოვრებთა და ნემეცთა კოლონიის შორის სადაო საძოვარ ადგილების საკითხის მოსაგვარებლათ** ქ. აღმასკომმა საადგილ-მამულო განყოფილების გამგეს ამხ. ჯაფარიძეს დაავალა შეადგინოს კომისია ამხ. არაქელოქუაშვილის მონაწილეობით.

— **მილიციის საჭიროებისათვის.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საფინანსო განყოფილებას, მილიციის საჭიროებისათვის სამმართველოს განყოფილებას მისცეს 190 ჩერვონეცი.

— **ძმათა სასაფლაო.** ქ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საადგილ-მამულო განყოფილებას უძრავ ქონებათა სამმართველოსთან ერთად გამონახოს ადგილი ძმათა სასაფლაოსათვის.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში.** მოხსენება „პროლეტარული პოეზიით" შესდგება ხვალ, ორშაბათს ხელოვნების სასახლეში, საღამოს 6 საათზე.

— **ქართული სტენოგრაფია.** კვირას, 23 სექტემბრისთვის, საღამოს 6 საათზე მცირე თეატრის შენობაში შესდგება ქართული სტენოგრაფიის პირველი ლექცია.

— **სანიტარულ განათლების საბჭოს სხდომა** დანიშნულია სანიტ. განათლების სახლში (ევანგულ. ქუჩა № 12) 24 სექტემბრისთვის საღამოს 7 საათზე.

— **გადასახადის აკრეფა.** სექტემბრის 20-სთვის სიღნაღის მაზრაში აკრეფილია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადები: ქერი 1.024 ფ. და ხორბალი 239 ფ.

მუშათა ცხოვრება

ექიმ ვორობიოვის სამსახურში აღდგენა

(იხ. „კომუნისტი“-ს №№ 212, 213).

მელითონეთა ამბულატორიის გამგის ექიმ ვორობიოვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საკითხი გადატანილი იყო პროფკავშირთა საბჭოში, რომელმაც დაადგინა, რომ ჯანსახკომისარიატის დადგენილება ექიმ ვორობიოვის შვებულების თვითნებობით ვადის გაგრძელების გამო მისი სამსახურიდან მოხსნის შესახებ ცნობილ იქნას სწორად;

მაგრამ თანახმად მელითონე მუშების შუამდგომლობისა, წინადადება მიეცა სამკურნალო ქვეგანყოფილებას, აღადგინოს ექიმი ვორობიოვი თავის თანამდებობაზე შემდეგში თვითნებით შვებულების ვადის გაგრძელების დაუშვებლობაზე მითითებით და გაფრთხილებით, რომ ანალოგიურ შემთხვევის განმეორებისათვის ის სავსებით იქნება მოხსნილი თანამდებობიდან.

აღნიშნულ დადგენილების თანახმად ექიმი ვორობიოვი უკვე აღდგენილია თავის სამსახურში ჯანსახკომისარიატის მიერ ამა წლის 19 სექტემბრიდან.

მუშკორი ა. ნ.

მუშა-მსახიობ ლ. ბალაშვილის იუბილეს მომწყობ კომისიისაგან

საიუბილეო კომისია ერთხელ კიდევ მოაგონებს ქვემო ჩამოთვლილ პირთ და დაწესებულებებს, რომ ამხ. მუშა-მსახიობ ბალაშვილის იუბილეს მომწყობ კომისიის გაფართოვებული კრება შესდგება კვირას, 23 სექტემბერს, დილის 10 საათზე (მბეჭდავთა კლუბში, რუსთაველის პროსპექტი № 39), ამიტომ კომისია სთხოვს ამხ. აბრამ გრიგორიანს, სანდრო ბაჯიაშვილს, რომანოზ სალაყაიას, სახალ. სახლთან არსებულ ქართულ წრეს, პროფკავშირთა საბჭოს, სომხურ აკადემიურ დასს, ქალაქის აღმასკომს, ბერძნების დრამატიულ წრეს, ავლაბრის დრამატიულ წრეს, ნაძალადევის დრამატიულ წრეს, ადელხანოვის ქარხნის ადგილკომს—მიიღონ მონაწილეობა ამ კრებაზე.

იუბილეს მომწყობი კომისია.

საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის მოწაფეთა ყოფა-ცხოვრება

ამხ. კამოს სახელობის საქარ. საფაბრიკო სასწავლებლის შენობა, სადაც მოწყობილია მოწაფეთა საერთო ბინა, რამოდენიმე ხნის წინედ თითქმის ნახევრად დანგრეული იყო. ახალი გამგის დანიშვნამდი საერთო ბინა მხოლოდ ნომინალურად არსებობდა: არ იყო საწოლი ტახტები, თეთრეული; არ იყო დაცული სისუფთავე და მრავალი სხვა. ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა, იძენენ ყოველგვარ საჭირო საგნებს და სასწავლო წლის დაწყებისას ბინა უკვე კარგ მდგომარეობაში იქნება.

საჭიროა შეშის დამზადება.

ამ სასწავლო წელში საჭიროა წარსული წლის გამოცდილების გამოყენება, როდესაც საშეშე მასალის უქონლობის გამო მოწაფეები სიცივით იყინებოდენ. შარშან სკოლა საყინულეს ჰგავდა.

აუცილებლად საჭიროა ზამთრისთვის შეშის დამზადება.

უნდა დაარსდეს პატარა აფთიაქი.

სკოლაში ხშირია შემთხვევა ყინბლიითი ქრილობის და დაშავებისა და ამავე დროს არ არის სასწრაფო დასახმარებლად საჭირო წამლები. ასეთები საჭიროა შეძენილ იქნეს და აქვე მოეწყოს პატარა აფთიაქი.

მოწაფეთა კვება.

ახალ გამგის, ამხ. ყამარაულის დანიშვნამდი აქ კვების საქმე მეტად ცუდად იყო დაყენებული, რადგან სამნეო ნაწილის ყოფილმა გამგემ, მოწაფეთა საჭმლის გაუმჯობესების მაგიერ, არჩია სურსათის „სისტემატიურად“ ქურდვა. ახლა ამ დარგში სრული წესიერებაა და არავისაგან უკმაყოფილება არ ისმის.

მუშკორი მარხი.

უმუშევართა სასადილოში

კვირას, 16 სექტემბერს, საბჭოთა მოსამსახურეების სასადილოში შესდგა ამავე სასადილოში მოსიარულეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 250 კაცამდე. კრებამ მოისმინა სასადილოს გამგეობის კულტუჯრედის მოხსენებები სასადილოს მუშაობის შესახებ ეკონომიურ და კულტურულ დარგებში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ეს სასადილო, რომელიც საბჭ. მოსამსახურეთა კავშირის მიერ არის გახსნილი, უმუშევრებს დიდ სამსახურს უწევს. სასადილოში სადილობს 300 უმუშევარი ოჯახებიანურთ. უმუშევრებში სწარმოებს კულტურული მუშაობაც გამოწერილია სასადილოსთვის თითქმის ყველა ადგილობრივი გაზეთები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე; არის მოსკოვის გაზეთებიც; მოწყობილია ქართული ენის კურსები, სადაც სომეხი და რუსი ამხანაგები დიდი გულმოდგინებით სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას. აქვე იმართება ლექციები სხვადასხვა თემებზე. მასთან კულტუჯრედს დავალებული აქვს უმუშევართათვის მოაწყოს მარქსისტული წრეები და პროფესიონალური კურსები და სხვა.

მუშკორი მკერვალი ნიკო.

შრომის ორგულებს არ დავტოვებთ საბჭოთა დაწესებულებებში

გაზეთ „კომუნისტი“-ს 211 №-ში მუშკორ „სადგისი“-ს მიერ მოთავსებულ წერილს, შინაგან საქმეთა სახ. კომისარმა მიაქცია სათანადო ყურადღება. მაშინვე მის მიერ გაცემულ იქნა განკარგულება და კიდევაც მოიხსნა კომისარიატს ბინაზე სარკეები, სადაც კი ასეთები მოიპოვებოდა და სადაც ზოგიერთი თანამშრომლები სამსახურის დროს შეექცეოდნენ.

ა. წ. 15 აგვისტოს სახკომის განკარგულებით მოწვეულ იქნა თანამშრომლების საზოგადო კრება, სადაც თვით სახალხო კომისარი გამოვიდა მოხსენებით გაზეთში მოთავსებულ წერილის გამო. მან მკაფიოდ განუმარტა თანამშრომლებს სამსახურში ყოფნის დროს თავის მოვალეობის ასრულების შესახებ, და სასტიკად გაილაშქრა იმ თანამშრომელ ქალების წინააღმდეგ, რომელთაც კიდევ შერჩენიათ კუდაბზიკობა და სარკეებთან ატარებენ დროს სამსახურში ყოფნის ჟამს. განუმარტა ყველას, რომ საბჭოთა სისტემა ასეთ პირებს სასტიკად სჯის და სხვა. ამის შემდეგ გაფრთხილება მისცა ყველა თანამშრომლებს, რომ შემდეგში არცერთ მოქალაქეს არ მისცემოდეს საბაბი რომელიმე თანამშრომელზე საყვედურის გამოცხადება.

შემდეგ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილს მიჰყვა ის, რომ უკვე დათხოვნილია სახკომის მიერ ის ქალი, რომელსაც განსაკუთრებით შეეხებოდა ეს წერილი.

ვაშა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს!

ყოველ მუშკორის გული სიხარულით აივსება ამ ცნობის წაკითხვის დროს.

დიდ მადლობას უძღვნით ამხ. კომისარს ასეთ ყურადღების მიქცევისათვის მუშკორის წერილზე.

მუშკორი მხილველი.

ლექცია მუშათა კლუბში

ამ წლის 13 სექტემბერს ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში წაიკითხა ლექცია საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის თანამშრომელმა ამხ. ბენაშვილმა. ლექტორს დიდი ყურადღებით უსმენდნენ რკ. გზის მუშები. ლექტორმა დეტალურად გააშუქა სამგვარი მიწის ძვრა და მისი გამომწვევი მიზეზები. პირველი ფორმა მიწის ძვრისა არის დედამიწის ნაოჭების შეუმჩნევლად გამუდმებული რყევა, მეორე – ვულკანიური და მესამე—ტექტონიური, რომელმაც ამსხვერპლა იაპონია.

დასასრულ ლექტორი შეეხო ამ სფეროში მეცნიერულ კვლევა-ძიების მდგომარეობას და დაასკვნა, რომ მეცნიერებას ამ დარგში არ აქვს დიდი მიღწევანი. მაგ. მან შეუძლია მომხდარ მიწის ძვრის [illegible] და მათ სიძლიერის აღრიცხვა. წინასწარი მისი გაგება კი შეუძლებელი არის. ლექცია დიდად შინაარსიანი და საყურადღებო იყო, მხოლოდ, სამწუხაროდ, მსმენელები ცოტანი იყვნენ. საჭიროა მუშები ესწრობოდენ უფრო მეტი რაოდენობით ამგვარ ლექციებს.

მუშ. ივ. ბ—შვილი.

მუშათა ქრონიკა

ჩვენი ადგილკომები ხელს უწყობენ ქართული ენის შესწავლას. იუსტიციის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა ადგილკომი უწევს რა სათანადო ანგარიშს საბჭოთა მთავრობის განკარგულებას საქართველოს დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ, ხსნის ახლო ხანებში ქართული ენის უცოდინარ მუშა-მოსამსახურეთათვის ქართულ ენის პირველდაწყებითი კურსებს.

ხელოვნება

აისედორა დუნკანის გასტროლი.

აისედორა დუნკანის პირველმა გამოსვლამ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, მიიზიდა დიდძალი საზოგადოება. სახელმწიფო ოპერის თეატრი მთლად გაჭედილი იყო დამსწრე საზოგადოებით.

გამოჩენილ მოცეკვავე ქალის იმპრესარიომ და დუნკანის მოსკოვის სტუდიის დირექტორმა წარმოდგენის წინ წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ის ალბად ფიქრობდა შეხვედროდა ტფილისში ისეთ აუდიტორიას, რომელიც ნაკლებად იცნობდა დუნკანის ხორეოგრაფიულ ხელოვნების მიმართულებას და სრულიად არ იცნობდა მუსიკას და კერძოთ ჩაიკოვსკის შემოქმედებას. რუსეთის დიდი კომპოზიტორი (რომლის ნაწარმოებისაგან შესდგებოდა თითქმის საღამოს მთელი პროგრამა მცირეოდენის გამოკლებით) როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში იდგა ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე და მის ნაწარმოებებში რაიმე პოლიტიკურ ტენდენციის ძებნა დიდი შეცდომაა.

მართალია, ჩაიკოვსკის აქვს რამოდენიმე სიმფონიური ნაწარმოები, სადაც დასურათებულია ისტორიული ეპიზოდები (მაგ. უვერტიურა „12-ე წელიწადი“, და სლავიანური მარში), მაგრამ კომპოზიტორი იღებს მხოლოდ ისტორიულ ამბავს და სრულიადაც არ სცდილობს მის პოლიტიკურ ხასიათის შეფასებას. განსაკუთრებით უცხოა რაიმე პოლიტიკური ტენდენცია მის პათეტიურ 6-ე სიმფონიაში H-moll. ბუნებით პესიმისტი და ნაწილობრივ მისტიკოსი, ჩაიკოვსკი, როგორც უკვე აღნიშნეთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, სავსებით აისახა ამ გენიალურ ნაწარმოებში. ძირითადი იდეა არის სევდა, რომელიც სასოწარკვეთილებაში გადადის (პირველი და მეოთხე ნაწილი andante lamanfoso adagio lugudre). მეორე ნაწილში კომპოზიტორი სცდილობს იპოვოს ადამიანის ყოფა-ცხოვრების ნათელი მხარეები (Valse ხუთმეოთხედიან რიტმით), ხოლო მესამე ნაწილს, რომელიც დაწერილია 12|8-ით აქვს ოხუნჯობის, თითქოს კაპრიზის ხასიათი. მაგრამ ფინალში (adagio) ჩაიკოვსკი ხელახლა შეპყრობილია სევდით და ეს ნაწილი ემსგავსება სამგლოვიარო კილოს. როგორ შეამჩნია აქ ბ-ნმა იმპრესარიომ პოლიტიკური რევოლიუციონური ტენდენციები—ეს გამოურკვეველია. ასეთი პოლიტიკური ბრძოლის იდეის კვალიც კი არ არის 3-ე სიმფონიაში. შემდეგ, აისედორა დუნკანის ხორეოგრაფიული მიმართულების საფუძველია—დაუბრუნოს თანამედროვე ცხოვრებას დაკარგული პლასტიურობა და სილამაზე ძველ საბერძნეთის პლასტიკის და თავისუფალი მოძრაობის საშუალებით, ჩამოაშოროს სხეულს და სულს თანამედროვობის პირობითი მხარეები. უკვე ერთის შეხედვით გრძნობ, რომ დუნკანი არის ძველი ბერძნული ცეკვის აპოლოგეტი, სადაც სჭარბობს პლასტიკა და მიმიკა, ამას უარყოფს იმპრესარიო და იქვე ეწინააღმდეგება თავის თავს, როდესაც ამბობს, რომ საბერძნეთის ყოფ. პრემიერს ვენიზელოსს სურდა მიეზიდა აისედორა დუნკანი საბერძნეთში თავის ქვეყანაში ძველი ელლადის ხორეოგრაფიის ასაღორძინებლად და მხოლოდ პოლიტიკურმა გადატრიალებამ ხელი შეუშალა მას. ძალიან საეჭვოა, რომ ვენიზელოსი შეეცდებოდა მიეზიდა თავის სამშობლოში დუნკანი, რომ არ ეცნობა ძირითადი იდეა მის შემოქმედებაში.

ჩაიკოვსკის პათეტიურ სიმფონიის პირველ და 4-ე ნაწილში აისედორა დუნკანი სავსებით ამართლებს ჩაიკოვსკის შემოქმედებას და ახლოს სდგას კომპოზიტორის მუსიკალურ აზრთან. ძალიან კარგია და შეუდარებელია სიმფონიის პირველ აკორდების დროს სევდიანი ფიგურა, რომელსაც ცოტაოდნად გაუსხივოსნდება იმედი მაჟორის გამოჩენასთან ერთად.

კარგია სევდიანი ფიგურა სამგლოვიარო ტანისამოსში (4 ნაწილი), მაგრამ მოცეკვავე ქალის მიმიკაც, პოზაც და მანიპულაციაც გაუგებარია 2-ე და 3-ე ნაწილში. ჩვენის აზრით, ის თავისუფლად და სრულიად არ შეეფერება მუსიკის შინაარსს.

„სლავიანური მარში“ დასწერა ჩაიკოვსკიმ 1877 წელს ოსმალეთიდან დაბრუნებულ რუსის ჯარების შესახვედრად. მთელი მარში გამსჭვალულია ვიწრო—ეროვნული სულით. დუნკანს სულ სხვანაირად ესმის ეს მარში. ის უფარდებს მას რევოლიუციონურ მოძრაობას რუსეთში. მარშის ერთ-ერთ ძირითად თემას—ყოფილ მონარქიულ რუსეთის ხალხური ჰიმნს აისედორა დუნკანი უფარდებს იმ დროინდელ ჩაგვრას. მოცეკვავე—ქალის მუხლებზე დაჩოქილი ფიგურა ზურგზე ხელებ დაწყობილი, უიმედო სასოწარკვეთილების მიმიკა—ეს ყველაფერი შეუდარებელია.

ეფექტიურად ასრულებს თავის საღამოს დუნკანი — რომელიც უპირდაპირებს ძველ ჰიმნს—თანამედროვე რუსეთის და მთელი რევოლიუციონური მსოფლიოს ჰიმნს—ინტერნაციონალს. მთელი დარბაზი აღფრთოვანებით ეგებება მას. მთელი აუდიტორია ფეხზე დგება და ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“, ბევრი საზოგადოებიდანაც მღერიან ამ ჰიმნს. სურათი დიადი და თვალწარმტაცია.

დიდი შრომა ხვდა წილად მაესტრო ბრონს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საღამოს მუსიკალური ნაწილი.

უვერტიურა „12-ე წელის“ შესრულება, რომელიც ახასიათებს რუსეთის ბრძოლას ნაპოლეონ I-თან—არ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი,—აქ საჭიროა დიდი ორკესტრი და მუსიკალურ ეპიზოდების უფრო უკეთესად გამოცალკევება. შესრულებამ ბევრი წააგო იმითაც, რომ უვერტიურა სცენაზე არ იქნა შესრულებული.

ჩაიკოვსკის სიმფონია საერთოდ კარგად იქნა შესრულებული, რამდენადაც იგი დამოუკიდებელი იყო აისედორა დუნკანის ცეკვისაგან.

საუცხოვოთ, დიდი კოლორიტიული გაგებით და entrain-ით ასრულებს მოქ. ბრონი მუსორგსკის სიმფონიურ პოემას: „Ночь на лысой горе“.

მუსიკოსი.

პროვინციაში

სამტრედია

სულ რამდენიმე თვეა, რაც აქ მუსიკალურ სკოლას ჩაეყარა საძირკველი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასწავლებელს დაუთმო თეატრის შენობა და ის კიდევ სხვადასხვა საგნით უწევდა მას დახმარებას. ამავე დროს სასწავლებელსაც ჰქონდა თავისი შემოსავალი—საწევრო და სწავლის გადასახადი, შემოწირულებანი და სხვა. მაგრამ ყველა ეს ვერ აკმაყოფილებდა ხარჯებს, რის გამო სასწავლებელი დავალიანდა. ამავე დროს პედაგოგიური საბჭოს, რომელიც, გამგის გარდა, ადგილობრივ ძალებისაგან შესდგებოდა, ძლიერ სუსტი აღმოჩნდა; ნაწილი მასწავლებლებისა გამგეობაშიც შედიოდენ, რამაც არა სასურველი გავლენა იქონია სასწავლებელზე.

მომავალ სასწავლო წელში სკოლის ამ პირობებში მისი არსებობა ყოვლად შეუძლებელია. ახალი გამგეობის მიერ, რომელიც არჩეულია ა. წ. 21 აგვისტოს, სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ ამან ეს სასწავლებელი მიიღოს თავის ხარჯზე და შესაფერი სწავლა და ცოდნის მქონე მასწავლებლები დანიშნოს იქ. სასწავლებლის დახურვა საზოგადოებაში გამოიწვევს უკმაყოფილებას, ვერც ადგილობრივი ხელისუფლება შეურიგდება ასეთ გადაწყვეტილებას. სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებამ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ მუსიკალური სკოლა გადავიდეს სახელმწიფო ხარჯზე.

სანი.

ქ. სურამი

კარგა ხანია რაც ქ. სურამში არსებობს მთლიანი მუშათა კოოპერატივი. კოოპერატივი კარგ ნიადაგზეა დაყენებული, რაც უმთავრესად მიეწერება ამხ. ზებო ხახაროვს რომელიც ყოველთვის იდგა კოოპერატივის გამგეობის სათავეში. კოოპერატივთან, სხვათა შორის, არსებობს სასადილო, რომელიც დღეში ამზადებს 300—400 კაცის სადილს და შეღავათიან ფასებში უთმობს საბჭოთა მუშა-მოსამსახურეებს და წითელარმიელებს, რაიც დიდ შეღავათს აძლევს მათ. ამ რამდენიმე ხნის წინად მოხდა ამ კოოპერატივის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა კოოპერატივის ახალი გამგეობა. სხვათაშორის, ამ კრებაზე დადგენილ იქნა, რომ გადიდებულიყო საპაიო გადასახადი 1 ნახ. მან. ჩერვონცით, რათა უფრო ძლიერი ყოფილიყო კოოპერატივი. ამ გადასახადის შემოტანა თითქმის უკვე დამთავრებულია. ვუსურვებთ სურამის მუშათა კოოპერატივს [illegible] გაძლიერებული თანხით წინსვლა და გამარჯვება.

ი. გაგიაშვილი.

სუფსა

დ. სუფსაში ამ რამოდენიმე თვის წინათ ადგილობრივი აღმასკომისა და მომწყობი კომისიის მიერ დაწყებულ იქნა სახალხო სახლის აშენება. თავდაპირველად ამ საქმისთვის არ იყო მზად არც საკმაო მასალა და არც თანხა, მაგრამ აღმასკომისა და სამშენებლო კომისიის და ადგილობრივ მშრომელ გლეხობის დახმარებით ეს მასალაც ძალიან ადრე გაჩნდა, თანხაც გამონახულ იქნა და დღეს სახალხო სახლის აშენება სანახევროდ დასრულებულია. კვირას, 2 სექტემბერს ამ სახლის სასარგებლოდ იქნა მოწყობილი დიდი საღამო თემის აღმასკომის თავმჯდომარის დ. მეგრელიძის, წევრის მ. ფასიეიშვილის, მდივნის შ. ჟღენტის და სამშენებლო კომისიის ინიციატორობით. საღამოს დაწყებამდე დღის ორ საათზე გაიხსნა მიტინგი—წითელი ახალგაზრდობის დღესასწაულის აღსანიშნავად. მიტინგი გახსნა ახალგაზრდათა კომკავშირის რაიკომის მდივანმა, ამხ. დ. კომახიძემ. მიტინგზე მოხსენება გააკეთა გურიის კომიტეტის რწმუნებულმა ამხ. კოწია გურჯენაძემ და მამია კილაძემ. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. მიტინგის დაშლის შემდეგ ხალხი გაემართა სახ. სახლის ეზოსკენ, სადაც გაიმართა საღამო. უკრავდა სამხედრო ორკესტრი. საღამოს 9 საათზე აიხადა ფარდა და გურული მომღერალთა გუნდმა, ამხ. ივანე ჩხაიძის ლოტბარობით, შეასრულა ინტერნაციონალი. შემდეგ ადგილობრივმა სცენის მოყვარეთა წრემ დასდგა წარმოდგენა, რომელიც კარგად ჩატარდა. დიდ მადლობას ვუძღვნით ყველა იმ პირთ, რომელთაც თავიანთი ენერგია არ დაიშურეს ამ საქმის მოსაწყობად.

ქვაბლელი.

აფერისტობა მწერლობის იარლიყით

ორიოდე სიტყვა ბ-ნ ჩიქვანაიას საპასუხოდ.

„ტრიბუნის“ 576 №-ში მოთავსებულია ჩემს მიერ აფერისტობაში ბრალდებულ ჩიქვანაიას პასუხი, სადაც ეს უტიფარი კომბინატორი „აბათილებს“ გაზ. „კომუნისტის“ 214 ნომერში გამოქვეყნებულ საბუთებს.

უნდა განვაცხადო, რომ გაზეთ „მწვერვალის“ მეცხრე ნომერი, რომელზედაც ჩიქვანაია მიგვითითებს, სრულებით არ გამოსულა. გაზეთის აწყობილი ნომერი ორი კვირის შემდეგ დაშლილ იქნა, რადგანაც ჩიქვანაიას აღნიშნული გაზეთის აწყობის ფული დღესაც გადაუხდელი აქვს (ალბად განცხადებებიდან წინასწარ აკრეფილი ფული „სხვა საქმეზე დასჭირდა).

დასასრულ არ შემიძლია სიამოვნებით არ შევეგებო ჩიქვანაიას მიერ საქმის სასამართლოსადმი გადაცემას (თუ აქაც ჩვეულებისამებრ არ სტყუის), რადგანაც სამსჯავრო კიდევ უფრო აშკარად გახდის ამ, მწერლობის ქურქში გახვეული კომბინატორის ნამდვილ ბუნებას; მაგრამ საქმე უსათუოდ უნდა გაირჩეს იქ, სადაც ბ-ნი ჩიქვანაია „მოღვაწეობდა“, ე. ი. ქალაქ ბათომში.

Lux.

ღია წერილი

საქ. წითელ ჯვრის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ექ. იდ. მამულიას.

იმ ლანძღვა-გინებისა, პირადი შეურაცხყოფისა და მუქარა-კრივისათვის, რომელიც თქვენ მომაყენეთ მე ა. წ. 21 სექტემბერს, გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში. დეე სასამართლომ დასდოს თავის მსჯავრი ამ საქმეს და გამოარკვიოს, თუ ვინ არის „გრაბიტელი“. ჩემის მხრიდან მედიატორებათ ვასახელებ ამხ. სევასტი თალაკვაძეს, ამხ. შურა დუღუჩავას და ამხ. გაიოზ დევდარიანს. გაძლევთ წინადადებას დღეის რიცხვიდან სამს დღეში დაასახელოთ თქვენი მედიატორები.

განაჩენი გამოცხადდება პრესაში.

მ. გოგიბერიძე.

მთავრობის განკარგულებანი და განცხადებანი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის

დადგენილება.

1923 წლის 21 სექტემბერი.

ვინაიდან 100,250 და 500 ათასიანი ამიერ-კავ. ფულის ნიშნები იბეჭდება აგრეთვე ქაღალდზე, რომელსაც არ ასვია წყლის ნიშნები, ფინ. სახ. კომ-ატი, შესაძლებელ გაუგებრობის ასაცილებლათ, ამით აცხადებს, რომ ამიერ-კავ. ფულის ნიშანთა აღნიშნულ კუპიურებს კანონიერი ძალა აქვს ისევე, როგორც კუპიურებს, რომლებიც დაბეჭდილია წყლის ნიშნებიან ქაღალდზე და ამიტომ ისინი სავალდებულოა მისაღებათ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების და აგრეთვე, კერძო დაწესებულებების და პირთა მიერ.

ამიერ-კავ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **ე. გენკინი.**

ამიერ-კავ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსი **ა. საფარიანი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის ერთიან საკავშირო დღეს

წინადადებას აძლევს

ორშაბათს, სექტემბრის 24 ს, უჯრედებში გაიმართოს მოხსენება „საქართველოს კომუნისტ ახალგაზრდათა კავშირის სრულიად საქართველოს მე 6 ყრილობა“

საქართ. კომუნისტ. ახალგაზ. კავშირის პასუხისმგებელი მდივანი **ლომინაძე.**

კომიტეტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-8 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს, სექტემბრის 24-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, გამოცხადდნენ საუბნო კომიტეტის ბინაზე სრულიად საქართველოს სააღწერო ფურცლის შესავსებად.

გამოცხადება სავალდებულოა: ალექსანდროვა ტატიანა, არაქელოვი სურენ, ბლუჯანოვა ნინო, ბლიაზიჯი ინდრის, ბოიარსკი სიმეონ, ლარიბოვ ავაქ, ბიზიაროვ იბრაჰიმ, ვართანოვი გეორგი, გრიგორიანი არშაკ, მარქარიან სუმბატ, მაღალდაძე სამსონ, ნადირაშვილი ოლღა, ნოვრუზოვ ოჰანეს, პეტროსიან ერ., პოლისი მაქსიმილიანი, რასულ-ზადე-დავუდ, სოფიანიდი ქრისტეფორე, ტუმანიან აზოტ, ტალიშიან არშაკ, ხელიიან არმენაკ, ხინჩა ლუკა.

მდივანი **ვართაპეტიანი.**

ორშაბათს, 24 სექტემბერს, დილის 10 საათზე ტფილისის კომიტეტის ბინაზე (ცენტრ. ბიუროს ოთახი) **დანიშნულია კომუნისტურ სტუდენტობის ცენტრ. ბიუროს ახალ შემადგენლობის სხდომა.** ცენტრ. ბიუროს ყველა წევრნი: ამხ. ამხ. კანდელაკი დ., რუხაძე გ., ეგიაზაროვი, ანსონი, ლეჟავა (უნივერსიტეტის უჯრედის მდივანი), ახალგაზრდათა კომკავშირის ტფ. კომიტეტის, ტფ. კ-ის სააგიტ.-საპროპ. განყოფილების წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან დაესწრონ სხდომას. დღის წესრიგში თვალსაჩინო საკითხები.

ცენტრ. ბიუროს მდივანი **ხ. სტეფანოვი.**

განცხადებები

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი, მოხუცებულები გამწარებული უბედური მშობლები—პელაგია და დიმიტრი და ახალგაზრდობა—მოწამლული ძმები—საშა და დათიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 23 სექტემბერს, მათთვის უსაყვარლესი და მუდამ დაუვიწყარი

მეგი ბზიავას

უდროოდ გარდაცვალების ორი წლის თავზე დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ნაშუადღევის 4 საათზე

1225—1—1

ქალიშვილი ეკატერინე ივანეს ასული გორდელაძისა, ნინო ივანეს ასული გვახარიასი, სიძეები თედო თომას ძე ცინცაძე, გრიგოლ ყასმარის ძე გორდელაძე და ვლადიმერ გვახარია, შვილიშვილები: თამარი, ბაბულია ცინცაძეები, თინათინ, რუსუდანი და ოთარი გორდელაძენი აცხადებენ ნათესავთა და ნაცნობების საყურადღებოთ, რომ დღეს 23 ამა სექტემბერს, 12 ს. წმ. ნიკოლოზის (ვერაზე) სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ (ბადო) გოძიევის

სულის მოსახსენებლად.

1228—1—1

უ. ქ. ს. კეთილ მოწყობის ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 25 სექტ. დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შემდეგ საამშენებლო სამუშაოებზე: 1. შეკეთება ხის ტროტუარისა პატარა ყოფ. ვორონცოვის ხიდისა. 2. შეკეთება და სახურავების შეღებვა სავაჭრო დარაბებისა მადათოვის კუნძულზე. პირობების და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება, აღმასკომის შენობაში—ოთახი № 43.

ამასთანავე განყოფილება აცხადებს, რომ შემდეგში ამგვარი შეჯიბრებები გაზეთებში არ იქნება გამოქვეყნებული. განცხადებები გაიკვრება აღმასკომის შენობაში მთავარ შემოსასვლელ კარებთან მარჯვნივ და კეთილ მომწყობ განყოფ. დერეფანში, (მე-3 სართულში—ველიამინოვის ქუჩის მხრივ).

629—2—1

დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოსთან არსებულ დამცველი კოლეგიის გამაუქმებელი კომისია

ამით აცხადებს, რომ თანახმად ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისრის დადგენილებისა, 4 სექტემბრიდან 1923 წლისა, დამცველების კოლეგია და მისი პრეზიდიუმი 20 სექტემბრიდან ამა წლისა

არის გაუქმებული

გამაუქმებელი კომისია დღეის რიცხვიდან ღებულობს განცხადებებს იმ პირთაგან, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრათ დამცველთა კოლეგიაში. იმ პირთა განცხადებაში, ვისაც სურს იქნას ჩაწერილი წევრათ დამცველთა კოლეგიაში უნდა იყოს ნაჩვენები ცნობები: 1) მათი განათლებისა და მათი განვლილი სამსახურისა, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, აგრეთვე პროფესიონალურ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში

კომისიის მისამართი:

ქუთაისი, საოლქო სასამართლოს შენობა, მესამე სართული, ოთახი № 3.

დამცველთა კოლეგიის გამაუქმებელი კომისია. 1—1.

კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირის გამგეობა

ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ 30 სექტემბერს ა. წ. სოფელ მუკუზანში საკუთარ ბინაზე დილის 10 საათზე

დანიშნულია რწმუნებულთა კრება

განსახილველი საკითხები:

1. გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ,
2 1922 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება,
1923 წლის ანგარიშების განხილვა.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
არჩევნები საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

გამგეობა. 1222 3—1

ტფილისის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზ-ის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. ოქტომბრის 1-ს დღის [illegible] საზ-ის ბინაზე (სასახლის ქ. № 6)

საჯარო ვაჭრობა

ბანკში დაგირავებულ სხვადასხვა ნივთებისა და საქონლისა, რომელნიც თავის დროზე არ იქნა გამოსყიდული პატრონთაგან.

ნივთების და საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე 12—2 ს.—მდე.

საზ-ის გამგეობა. 1—1.

თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1923 წლის 11 სექტემბრის, № 87 თარიღით,

სავალდებულოა

სახელმწიფო დაწესებულებათა, სხვადასხვა უწყების განკარგულებაში არსებულ და ცალკე დაწესებულებათა და კერძო პირთა კუთვნილ ყოველგვარ ავტო-მანქანებისა და ავტო-კონების

აღწერა

საქართველოს ს. ს. რ-ის ადგილობრივ ტრანსპორტის სარაიონო სამმართველო ამით აუწყებს ყველა დაინტერესებულ დაწესებულებებსა და პირებს, რომ ქალ. ტფილისის ფარგლებში და მის რაიონში არსებულ ყველა

ავტო-მანქანების აღწერა

სწარმოებს საქართველოს ს. ს. რ-ის ავტო-ნაწილში (რეუტოვის და ალექსანდროვის ქუჩის კუთხე) 24 სექტემბრიდან შემდეგი წესით:

1 და 2	რაიონები	24	სექტემბერს
3 და 4	„	25	„
5 და 6	„	26	„
7 და 8	„	27	„
9 და 10	„	28	„
10 და 11	„	29	„
12 და 13	„	1	ოქტომბერს

ამიერ-კავკ. სახ. კომ. საბჭოს, სატრანსპორტო და სამოტორო განყოფილების, ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომ-ატისა და ამ. კავ. რკინის გზათა სამმართველოს ავტო-მანქანების რეგისტრაციას აწარმოებს კომისიის მიერ ადგილებზე.

ყველა ის პირები, ვინც აღნიშნულ ვადის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა არ გაატარებს რეგისტრაციაში მათ განკარგულებაში არსებულ ან კუთვნილ ავტო-მოტო-მანქანებს, კანონიერ პასუხისმგებლობაში იქნებიან მიცემული 300 მანეთის ჯარიმის გადახდით.

საქ. სახ. რ-ის სარაიონო სამმართველოს საავტომობილო განყოფილების უფროსი ი. მისენკო.

საავტომობილო გან-ის უფროსი ინსპექტორი გ. ფადევა. 1—1.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რეს. ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 22 აგვისტოს დადგენილების ძალით ცხადდება, რომ 1923 წლის ნიმუშის რუს. საბჭოთა ფულის ნიშნები და აგრეთვე ამავე წლის და ამავე ნიმუშის 10,000 მანეთიანი უპროცენტო ვალდებულებანი

მიიღება ხმარებაში

თანხის განუსაზღვრელად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რეს. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ყველა სალარო დაწესებულებებში, კანტორებში და ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში

მხოლოდ ა. წ. 1 ოქტომბრამდე.

აღნიშნული ნიშნები, რომლებიც უნდა გამოვიდეს ხმარებიდან, მიიღება დასახელებულ სალარო დაწესებულებებში 1923 წ. ნიმუშის ფულის ნიშნებზე გადასაცვლელად

ა. წ. 1 ნოემბრამდე.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ: **ე. გენკინი.**

სავალუტო სამმართველოს უფროსი: **ა. საფარიანი.**

627 1—1.

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

[illegible] სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]

[illegible], ტფილისი, [illegible] ქ. № 20 (501—3რ—22)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული ბუღალტერიის პრაქტიკული კურსი

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 182.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვეს.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—42

ქ. ტფილისის მეორე რაიონის სახალხო მოსამართლემ 1923 წლის სექტემბრის დადგენილებით გააუქმა რწმუნების ქაღალდი, მიცემული ქრისტეფორე მანოლოპულოს მიერ პანაიოტე გიორგის ძე პანაგოპულოსადმი განცხადებული ბათომის ნოტარიუსთან პრუსკისთან 1920 წელს 8 ივლისს თარიღით რეესტრი № 1963.

სახალხო მოსამართლე **მ. ჩხეიძე.**

1226—1—1

ქ. ტფილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე იწვევს სასამართლოში ალი-აჰმად ოღლის, როგორც მოპასუხეს ნაზი—მაჰარამ კიზისთან განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება, დანიშნულ იქნება საქ და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება. ჩემი კამერა იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32.

სახალხო მოსამართლე **თარხნიშვილი.**

1227—1—1

დაიკარგა ახალგაზრდათა კომკავშირის საწევრო ბარათი და გორის განსაკუთრებული რაზმის შტაბიდან მიღებული მოწმობები, ნიკოლა გიორგის ძე გოზალოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1224—1—1

დაიკარგა საზღვარ-გარეთის პასპორტი, გაცემული გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის მიერ № 721-ით დავით შაქროს ძე ქურქჩიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1230—1—

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, კრუზენშტერნის ქ. № 4.